პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 44 (11655) | კვირა, 21 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხთა მეგობრობის დროშით!



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიის რესპუბლიკაში. სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო მერდეკას სასახლეში. საქდესის ფოტოქრონიკა. (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

# ორგანიზატორული მუშაობა და არა ადმინისტრირება!

რამდენიმე დღეც, და მთელი ჩვენი ხალხი სიხარულით აღნიშნავს საბჭოთა საქართველოს, თავისი მშობლიური ქვეყნის დაბადების 39 წლისთავს. ჩვენში საუცხოო ტრადიციად იქცა: ამ ეროვნული ზეიმის წინ ერთხელ კიდევ მიმოვავლოთ თვალი განვლილ გზას, კრიტიკულად შევხედოთ ჩვენს საქმიანობას — როგორ ვშრომობდით, რა გავაკეთეთ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, ხომ შუბლგახსნილნი, თავაწეულნი, ამაყად ვეგებებით ამ შესანიშნავ თარიღს! ჩვენს ხალხს, ჩვენს რესპუბლიკას ცოტა როდი აქვს საამაყო, სასიხარულო, საკუთარი გონებითა და მარჯვენით შექმნილი მარტო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

ავიღოთ შვიდწლედის პირველი წლის შედეგები თუგინდ სოფლის მეურნეობის დარგში, პირველი სასიხარულო ამბები შვიდწლედის მეორე წლის დაახლოებით თვენახევარში. ეს შედეგები ყველას ესიამოვნება, კანონიერ სიამაყეს გვრის.

ჩვენმა რესპუბლიკამ ერთგვარი წარმატებანი მოიპოვა საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობაში, ხოლო მეტი და საუკეთესო ხორცი, რძე, კარაქი ნიშნავს იმას, რომ კიდევ უფრო კარგად ვიცხოვროთ. ახლა უკვე შეიძლება არა ერთი და ორი რაიონის დასახელება, რომლებმაც პირუტყვის სულადობის გადიდებასა და მისი პროდუქტიულობის ზრდაში თუმცა პირველ, მაგრამ უთუოდ საგულისხმო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ განსაკუთრებით შესამჩნევად ვითარდება მეღორეობა და მეფრინველეობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ გასულ წელს 1957 წელთან შედარებით მარტო ხორცი თითქმის 29 პროცენტით მეტი იყო წარმოებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მიეყიდა ათი ათასი ტონით მეტი ხორცი.

უფრო სერიოზული ამოცანებია ჩვენი რესპუბლიკის წინაშე შვიდწლედის მეორე წელს. 1960 წელს საქართველომ მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოს მიჰყიდოს 86-90 ათას ტონამდე ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43 ათასი ტონისა.

შესაძლებელია ზოგიერთს ეჭვიც დაებადოს: ხომ არ არის ეს ვალდებულება არარეალური, ფანტასტიკური, აღებული მხოლოდ ლამაზი სიტყვისათვის? არა, ვალდებულებანი რეალურია და, მაშასადამე, შეიძლება მათი შესრულება. მხოლოდ საჭიროა არ დავივიწყოთ ერთი ყველაზე მთავარი: ვალდებულებანი განმტკიცებულ უნდა იქნას ყოველდღიური ორგანიზატორული მუშაობით, კილოგრამი ხორცისათვის ენერგიული ბრძოლით.

ამ ციფრების, ამ ვალდებულებათა რეალობას ადასტურებს ბევრი რაიონის, კოლმეურნეობის თავდადებული შრომის მაგალითი. კაცმა რომ თქვას, ეს-ეს არის დაიწყო შვიდწლედის მეორე წელი და თითქმის ყოველ დღეს ახალ-ახალი სასიხარულო ამბები მოაქვს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის კვარტალური გეგმების არა მარტო მთლიანად, არამედ საგრძნობი, მეტად დიდი გადაჭარბებით შესრულების შესახებ.

თითებზე როდი ჩამოითვლება ისეთი რაიონები, რომლებმაც იკისრეს ხორცის დამზადების გადიდებული ვალდებულებანი და მას პირნათლად, სასახელოდ ანაღდებენ.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ახალციხის რაიონი, რომელმაც სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა ჯერ კიდევ 10 თებერვლისათვის 240 პროცენტით შეასრულა; თეთრი წყაროს რაიონმა გეგმა შეასრულა 234 პროცენტით, სამტრედიის რაიონმა — 310 პროცენტით, ტყიბულის რაიონმა — 324 პროცენტით. ამ მხრივ ცუდად როდი იმუშავეს ბორჯომის, ზესტაფონის, საჩხერისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმაც.

ეს მეტად კარგია. ეს ნიშნავს, რომ ბევრგან ხელმძღვანელი მუშაკები, სოფლის მშრომელები სიტყვას ქარს არ ატანენ, პასუხისმგებლობით ეკიდებიან სახელმწიფო დავალების შესრულებას. მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ შორდება.

და ამ წარმატებას, ასეთ შედეგებს აღწევენ არა იოლი გზით — რადაც არ უნდა დაუჯდეთ სადმე, როგორმე შეისყიდონ პირუტყვი, შემდეგ სახელმწიფოს მიჰყიდონ და ამაყად, როგორც გამარჯვებულებმა იარონ — შეგვხედეთ, ჩვენ უკვე შევასრულეთ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმაო, — არამედ თავდადებული, მოფიქრებული შრომით, მათს განკარგულებაში არსებული ყველა რეზერვის მოხერხებული გამოყენებით.

კონკრეტულად რა რეზერვებს იყენებენ ისინი? მთელ თავიანთ გულისყურს მიმართავენ უმთავრესად საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისაკენ, ქმნიან მეცხოველეობის მტკიცე საკვებ ბაზას, ზრდიან სიმინდის — მეცხოველეობის აღმავლობის ყველაზე გადამწყვეტი, ძვირფასი კულტურის ფართობს, აწყობენ პირუტყვის ბაგურ და ბანაკურ გასუქებას, ენერგიულად ებრძვიან პირუტყვის სიბერწეს, მის სიკვდილიანობას. იმ კოლმეურნეებისაგან, რომლებსაც მეცხოველეობის საკმაო ბაზა არ გააჩნიათ, ისინი ყიდულობენ პირუტყვს და უკეთ აწყობენ მის შენახვას, გაზრდას, გასუქებას.

ამაში კარგის მეტი არაფერია, და კოლმეურნეობათა, თვით კოლმეურნეთა ასეთ პატრიოტულ თაოსნობას ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან ასე როდი ფიქრობენ და მით უმეტეს ასე როდი იქცევიან. ნათქვამია, ცოდვა გამჟღავნებული სჯობსო, და აი ზოგიერთ რაიონში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების, კერძოდ, ხორცის მიყიდვის გეგმების შესრულების მიზნით, პირუტყვს თვითონ კი არ ამრავლებენ, არამედ სხვაგან ყიდულობენ და ასე გაუსუქებლად აბარებენ სახელმწიფოს. ცხადია, ამ მიზეზით მათ საგრძნობი ზარალი მოსდით.

უფრო მეტიც, სამწუხაროდ, ზოგან სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმის შესრულებას, აღებულ ვალდებულებათა შესრულებას ფიქრობენ იოლი გზით, ნაკლები წინააღმდეგობის გზით, არა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების გზით. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი ვაი ხელმძღვანელი არც აცივებს, არც აცხელებს და რაღაც „ორიგინალურ“, „ახალ აღმოჩენათა გზით“, უფრო მეტიც, აშკარა ადმინისტრირებით ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს სირცხვილი არა ჭამოს სახელმწიფოს წინაშე, აღებული ვალდებულებანი როგორმე შეასრულოს, თუგინდ ეს საერთო ხაზის საწინააღმდეგოც იყოს.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო დამაფიქრებელი სიგნალები ზოგიერთი რაიონიდან სახელმწიფოსათვის ხორცის შესყიდვის გეგმების შესრულების მეთოდების, „საიდუმლოების“ შესახებ. მართალია, ეს სიგნალები ერთეულია, მაგრამ ღირს მათთვის ყურადღების ახლავე მიქცევა, მით უმეტეს, რომ ამ გზით მოსიარულეებს მიმდევრები შეიძლება სხვაგანაც გამოუჩნდნენ.

რედაქციაში შემოსული სიგნალების შემოწმებამ დაადასტურა, რომ სამგორის რაიონში სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების საკონტროლო დავალებები მისცეს ზოგიერთ ისეთ ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა სოფლის მეურნეობასთან, ცხადია, არც რაიმე ბაზა გააჩნიათ პირუტყვის გასაზრდელად და შემდეგ სახელმწიფოსათვის მისაყიდად. ასევე მოიქცნენ ახმეტაში. ამბობენ, რომ ამ რაიონის ზოგიერთი დაწესებულების თვითეულმა მუშამ და მოსამსახურემ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 70 კილოგრამი ხორცი. ახმეტის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა ნ. სეხნიაშვილმა, ქ. მატინოვმა, გ. ჩირიკაშვილმა, რომლებიც ჩამოსული არიან სხვა რაიონებიდან და სოფლის მეურნეობასთან კავშირი არა აქვთ, ეს ვალდებულება უკვე მოიხადეს ბაზარზე შეძენილი, ნაყიდი ხორცით (!).

ქ. ცხაკაიაში არსებობს პარიკმახერთა არტელი „გაერთიანება“. ამ არტელის წევრებს ბ. მიქაძესა და კ. ხარბედიას არა ნებაყოფლობით, არამედ ადმინისტრირებით აიძულებენ უთუოდ იყოლიონ გოჭი, გაასუქონ და შემდეგ მიჰყიდონ სახელმწიფოს. შეიძლებოდა ამ ფაქტზე არაფერი გვეთქვა, რომ მათ ჰქონდეთ ამისი არა მარტო სურვილი, არამედ შესაძლებლობაც. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ხანშია შესული, და დასამალავი როდია, რომ არც აქვს პირუტყვის შენახვისა და გაზრდის თავი.

კასპის რაიკოოპკავშირის მთელ რიგ დაწესებულებათა მუშაკებს მიეცათ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირდაპირ მტკიცე დავალებანი. მაგალითად, ა. თათეიშვილს „აკისრებინეს“ 200 კილოგრამი ხორცი მიჰყიდოს სახელმწიფოს, თ. ქიმშელეიშვილს კი — 100 კილოგრამი. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა საშუალებები აქვთ მათ ხორცის წარმოებისათვის, რაიკოოპკავშირის გამგეობაში გვითხრეს: რა საშუალებებია?! ბაზარზე შეისყიდიან და ისე ჩააბარებენო (!).

საეჭვოა, რომ ამ და სხვა მსგავსი ფაქტების შესახებ არაფერი იცოდნენ პარტიის რაიკომებისა და რაიონული აღმასკომების ხელმძღვანელმა მუშაკებმა. და უფრო სამწუხაროა, როცა იციან და არაფრით არ ეხმაურებიან მათ. მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ნუთუ არ იციან მათ, რომ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმის ამ გზით შესრულების ცდა პარტიის მითითებათა აშკარა საწინააღმდეგოა, მათი ასეთი ნაბიჯები მეცხოველეობის განვითარებისათვის ნამდვილ ზრუნვაზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ, პირიქით, მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელის შეშლაზე, აშკარა, მავნე ადმინისტრირებაზე. ყოველივე ამას საერთო არა აქვს რა პარტიის ხაზთან.

ხორცის წარმოების გადიდებისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის მოსაწყობად ბევრგან მისაბაძი ინიციატივა-თაოსნობა გამოიჩინეს. მხარი უნდა დავუჭიროთ ისეთ პატრიოტულ მოძრაობას, რომლის დროსაც არსებობს რეალური შესაძლებლობა გაზარდო პირუტყვი და შემდეგ სახელმწიფოს მიჰყიდო. მაგრამ როგორ შეიძლება ხორცის მიყიდვის ვალდებულებანი მიეცეთ მუშა-მოსამსახურეებს, კერძოდ მასწავლებლებს, ექიმებს და სხვებს, ისიც ადმინისტრირების გზით, როცა ხორცს ფაქტიურად თვითონ არ აწარმოებენ და მას ბაზარზე იძენენ. რა საერთო აქვს ამას ხორცის ნამდვილ წარმოებასთან? განა ამას გვავალებს ჩვენ პარტია, სახელმწიფო? თუ სოფლის მუშა-მოსამსახურეები იყოლიებენ პირუტყვს, გაზრდიან და თვითონვე მოიხმარენ, ესეც ხომ ერთგვარი შეღავათია და დახმარება სახელმწიფოსათვის.

ახლა, როცა მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დარგში, ბუნებრივია, განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. უბრალო ამბავი როდია იკისრო და არ შეასრულო. ჩვენ ვალდებული ვართ კრიტიკულად გადავსინჯოთ ჩვენი მუშაობის მეთოდები, მუშაობის თვით ხელმძღვანელობის სტილი, რათა უზრუნველვყოთ ნაკისრ ვალდებულებათა აუცილებლად შესრულება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამ ამოცანის შესრულების დროს დაამახინჯო საერთო ხაზი, დაუშვა შეცდომები, ხელი მიჰყო შიშველ ადმინისტრირებას, იხელმძღვანელო მცდარი დევიზით: ოღონდ არ შევრცხვეთ და სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღიაო.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში პირდაპირ მიგვითითებდა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და რაიონის მიერ ღონისძიებათა შემუშავების დროს მთავარია გამოვავლინოთ რეზერვები, გამოვნახოთ ახალი გზები მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მეცხოველეობის პროდუქტების მკვეთრად გადიდებას უპირველეს ყოვლისა უნდა მივაღწიოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით, მისთვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნით.

აი რა უნდა გვახსოვდეს ყოველთვის. აი რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

# ოთხი ქალაქის შეჯიბრება

ამ დღეებში ბათუმის მშრომელებს ეწვიენ ხერსონის, კიროვაკანისა და სოხუმის მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც გაეცნენ ბათუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების საქმიანობას.

საღამოზე, რომელიც ამ ქალაქების მშრომელთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგების შეჯამებას მიეძღვნა, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. უკლებამ აღნიშნა, რომ ბათუმის მრეწველობამ შარშან სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 25,8 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 1,5 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადასცა 24.663 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ხერსონის სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტკომის მდივანმა ვ. იურკოვსკიმ ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომლებიც ხერსონის მშრომელებმა შვიდწლედის პირველ წელს მოიპოვეს. მათ 18 დეკემბერს შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები.

სომხეთის კომპარტიის კიროვაკანის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა მ. ბახჩინიანმა შეკრების მონაწილეებს მოუთხრო თავისი ქალაქის მშრომელთა მიღწევებზე. კიროვაკანელმა მშრომელებმა ვადამდე — საბჭოთა სომხეთის 39-ე წლისთავის დღეს, 29 ნოემბერს შეასრულეს მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ.

ოთხი ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა აიღეს სოციალისტური შეჯიბრების ახალი ვალდებულებანი 1960 წლისათვის.

**დ. დიასამიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ლენინურ შრომითს ვახტზე

◆ ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებმა ვადამდე, 18 თებერვლისათვის 125,6 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა, კვერცხისა — 170 პროცენტით. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დარგში ნაკისრი ვალდებულება განაღდებულია 104,2 პროცენტით, კვერცხისა — 164,8 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვა გრძელდება.

◆ პირველი შახტი ერთ-ერთი მოწინავეა ახალციხეში.

ამ შახტის კომკავშირელები დგანან ლენინურ შრომითს ვახტზე და ახალ წარმატებებს აღწევენ. მათ გადაწყვიტეს შეფობა გაუწიონ სოფელ აწყურის კოლმეურნეობას. ახალგაზრდა მეშახტეებმა იკისრეს მოამზადონ 3 კოლმეურნე მექანიზატორი, 4 ელექტრომონტიორი, 2 ზეინკალი, ერთი ელექტროშემდუღებელი, დაეხმარონ კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებაში.

ახლა, როცა სოფლად გაცხოველებული მზადებაა საგაზაფხულო თესვისათვის, აწყურელებთან ხშირად ნახავთ სამთოელ ზეინკლებს — მ. თვარაძეს, რ. ამირშადიანს, გ. მოდებაძეს, ა. მაზმანიანსა და სხვებს, რომლებიც თავიანთ ცოდნას ხალისით გადასცემენ კოლმეურნე მექანიზატორებს. (საკ. კორ.).

◆ **ხაშური.** (საკ. კორ.). ენერგომომარაგების ხაშურის უბნის კოლექტივს გასული წლის მეოთხე კვარტალში მოპოვებული საწარმოო გამარჯვებისათვის განსაკუთრებით ელექტროფიცირებული გორი-სტალინირის რკინიგზის უბნის საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემისათვის, მიეკუთვნა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ენერგომომარაგების უბნის თხუთმეტი მოწინავე მუშა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ბრძანებით დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით: „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი“.

# ნ. ს. ხრუშჩოვი ბანდუნგში

**ბანდუნგი,** 20 თებერვალი. საქდესის სპეც. კორ. ი. ტრუშინი იუწყება:

დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო, აგრეთვე ა. ა. გრომიკო, ნ. ა. მიხაილოვი, გ. ა. ჟუკოვი, ს. ა. სკაჩკოვი, ტ. უ. ულჯაბაევი, ტ. ა. თაიროვა და სხვა მათი თანმხლები საბჭოთა და ინდონეზიელი ოფიციალური პირები ბოგორიდან ბანდუნგს გაემგზავრნენ.

ბოგორიდან გამგზავრების წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ბოგორის მსოფლიოში ცნობილი ბოტანიკური ბაღი. ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციამ ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვა სამახსოვრო საჩუქარი.

მთელ 150 კილომეტრ გზაზე ბოგორიდან ბანდუნგამდე ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ სუკარნოს აღტაცებით მიესალმებოდა ჩიბულანის, პუნჩაკის, ჩიპანას, ჯანჯურისა და სხვა სოფლების ათეულობით ათასი მცხოვრები. თვალწარმტაცი მთის გზის გასწვრივ გაჭიმულია საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ეროვნული დროშების გირლანდები, საპატიო თაღები, ლოზუნგები: „სალამათ დათანგ თამუ აგუნგ!“ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საპატიო სტუმარო!“.

სოფლის სახლების თაღებზე და კედლებზე ჰკიდია ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ სუკარნოს პორტრეტები, როგორც სიმბოლო საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის სულ უფრო მტკიცე ურღვევი მეგობრობისა. სოფლების ქუჩებში უკრავს ხალხური ორკესტრები. ყველა ხალისიანი საზეიმო განწყობილებითაა მოცული.

ავტომანქანების კორტეჟი უახლოვდება ბანდუნგს — ქალაქს, რომელიც გადაიქცა აზიისა და აფრიკის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ. საზეიმოდ მორთული ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა — რამდენიმე ასი ათასი კაცი — გამოვიდა, რათა შეხვედროდა საპატიო საბჭოთა სტუმარს.

ბანდუნგის დღევანდელი გაზეთები „ვარტა ბანდუნგ“, „სიპატა ჰუნანი“ და სხვები მიესალმებიან ხრუშჩოვის ჩამოსვლას დიდი სათაურებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საპატიო საბჭოთა სტუმარო!“, „ხრუშჩოვი — მშვიდობისა და ბედნიერების სიმბოლოა!“.

საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში დასავლეთ იავის გუბერნატორის მოადგილემ დოქტორმა ასტრავინატამ განაცხადა: ჩვენ ბედნიერი ვართ ბანდუნგში მივესალმოთ ნ. ს. ხრუშჩოვს, როგორც ინდონეზიელი ხალხის მეგობარს, როგორც მშვიდობისა და მეგობრობის მოციქულს დიდი საბჭოთა კავშირიდან.

ავტომანქანების კოლონა ძლივძლივობით იკვლევს გზას ბანდუნგის ქუჩებში. ყველგან სიხარულით აღტაცებული სახეები, გაბრწყინებული, აღგზნებული თვალებია. გაისმის შეძახილები: **„ხიდუპ ხრუშჩოვ! ხიდუპ ბუნგ კარნო!“** (გაუმარჯოს ხრუშჩოვს! გაუმარჯოს ძმა კარნოს (სუკარნოს!), **„ხიდუპ პერსახაბატან ინდონეზია უნი სოვეტ!“** (გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობას!“).

გუბერნატორის სასახლესთან ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ სუკარნოს შეხვდნენ დასავლეთ იავის გუბერნატორი პოლკოვნიკი მაშუდი, მისი მოადგილე დოქტორი ასტრავინატა, დასავლეთ იავის სამხედრო ოლქის სარდალი, ბრიგადის გენერალი კოსასი, ქალაქ ბანდუნგის მერი პრიატნაკუსუმა და მუნიციპალიტეტის წევრები.

ინდონეზიური ჩვეულებით ნ. ს. ხრუშჩოვს ჰკიდებენ ყვავილების გირლანდებს. საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. ზეიმურად გაისმის საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ჰიმნები.

საპატიო საბჭოთა სტუმრის ბანდუნგში მიღების საქალაქო კომიტეტის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა ამირ მაჰმუდმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვს.

ჩვენ ბედნიერი ვართ მოგესალმოთ თქვენ და ჩვენს პრეზიდენტ სუკარნოს ბანდუნგში, თქვა ამირ მაჰმუდმა. ჩვენ გიცნობთ თქვენ, როგორც არა მარტო თქვენი ხალხის ბედნიერებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის ყველაზე თავდადებულ და დაუცხრომელ მებრძოლს. ჩვენ, ბანდუნგის მცხოვრებნი, გულითადად მოგესალმებით თქვენ მთელ მშვიდობისმოყვარე ინდონეზიელ ხალხთან ერთად.

მქუხარე ტაშის გრიალში ამირ მაჰმუდი ამბობს: „გაუმარჯოს პრემიერ ხრუშჩოვს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხებს!“

ოვაციების გრიალში მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი.

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ბატონო გუბერნატორო!

ბატონებო, მეგობრებო!

მე დიდ სიამოვნებას მგვრის ვიყო თქვენს ქალაქში, რომლის სახელი ისტორიაში შევიდა. აქ მიმდინარეობდა ცნობილი ბანდუნგის კონფერენცია, რომელზეც ერთმანეთს შეხვდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები და მიიღეს შეთანხმება თავიანთი საგარეო პოლიტიკისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ. ბანდუნგში მიღებული დეკლარაცია ეხმაურება ლენინურ დებულებებს მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, რომლებიც რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იქნა გამოცხადებული (ტაში).

როცა მოხდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და დაიბადა მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, რომელიც ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა გამოაცხადა ბრძნული ლოზუნგი — სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოებმა უნდა ითანაარსებონ, ესე იგი იცხოვრონ მშვიდობით, უომრად. (მქუხარე ტაში).

ამა თუ იმ სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური წყობის საკითხი თვითეული ქვეყნის ხალხის საშინაო საქმეა. არც ერთმა სახელმწიფომ სხვა ხალხს ძალით თავს არ უნდა მოახვიოს თავისი სისტემა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ჩვენ უზრუნველვყოთ მშვიდობა, რომელიც ასე ძვირფასია ყოველი ხალხისა და ყოველი ადამიანისათვის.

მინდა უაღრესად დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქ ბანდუნგის მოქალაქეებს, აგრეთვე იმ ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთ, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ თქვენს შესანიშნავ ქალაქში ჩამოსვლამდე, მათი გულთბილი, მეგობრული გრძნობებისათვის, რაც გამოხატული იყო ჩემს მიმართ, დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლის მიმართ. (ტაში).

მე მინდა აგრეთვე მადლობა გადავუხადო ინდონეზიელ სამხედრო პირებს მოგზაურობის ორგანიზაციის საქმეში ყურადღებისა და ხელშეწყობისათვის. ჩვენთვის სასიამოვნო იყო გვეყურებინა არმიის ახალგაზრდა აკვალთული მებრძოლებისა და მეთაურებისათვის, რომლებიც ზუსტად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, არმიისა, რომელიც დგას ინდონეზიის დამოუკიდებლობის საგუშაგოზე. (ტაში).

მდიდარია თქვენი ქვეყანა, მეგობრებო, მდიდარია წიაღისეულითა და ხილით. როცა საკუთარი თვალით ვნახე თქვენი ქვეყანა, მე უფრო უკეთ ვიგებ ახლა, თუ რა ძნელი იყო კოლონიზატორებისათვის გამოთხოვებოდნენ იმ სიმდიდრეებს, რასაც ისინი აქ დიდი ხნის განმავლობაში ძარცვავდნენ.

კოლონიალიზმმა დრო მოჭამა!

მოვიდა დრო მისი განსვენებისა. კუბო და საფლავი მოელის მას. (მქუხარე ტაში).

ჩვენი სიმპათიები ინდონეზიელი ხალხის მხარეზეა, ხალხისა, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ იყოს თავისი საქმის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, იმისათვის, რომ განაგებდეს ყოველივე იმას, რაც ინდონეზიელი ხალხის ხელით არის შექმნილი. (მქუხარე ტაში).

ჩვენი სიმპათიები კოლონიური ხალხების მხარეზეა, ხალხებისა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის. (მქუხარე ტაში).

ამ ხალხების მხარეზეა არა მარტო ჩვენი სიმპათიები და მორალური მხარდაჭერა. ჩვენ მატერიალურად ვეხმარებოდით და კვლავ დავეხმარებით ხალხებს, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან და ახლა განამტკიცებენ თავიანთ დამოუკიდებლობას. (ტაში).

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მეყურებინა თავისუფალ ინდონეზიელთა გაბადრული, ამაყი სახეებისათვის, მათი გაბრწყინებული თვალებისათვის, იმ ადამიანთა აღტაცებით აღგზნებული თვალებისათვის, რომლებიც მზად არიან ინდონეზიის მიერ მოპოვებული თავისუფლების განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

კოლონიზატორებს ვერასოდეს ვერ გააგდებთ ლოცვებით. როგორც ვეფხვს ვერ მიაჩვევ ბალახით კვებას, ისე კოლონიზატორებს ვერ გადააჩვევ ძარცვა-გლეჯას.

მხოლოდ ბრძოლით შეიძლება თავისუფლების მოპოვება, მხოლოდ ბრძოლით შეიძლება საკუთარი სახელმწიფოს და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირის სახელით მივესალმები ინდონეზიის პრეზიდენტს სუკარნოს, რომელმაც აღმართა კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლის დროშა და რომელსაც მიჰყავს თავისი ხალხი პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების, ეკონომიური დამოუკიდებლობის, ინდონეზიის ხალხის კულტურისა და ცხოვრების დონის ამაღლების გზით. (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ინდონეზიელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა მეგობრობას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! (მქუხარე ტაში, შეძახილები: „თავისუფლება!“, „ინდონეზია-სსრ კავშირი — მეგობრობა!“).



# სტუმრად ლენინთან

ადამიანის ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება მნიშვნელოვანი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ტკბილ მოსაგონრად რჩება, და როცა ვინმე ამ თემაზე სიტყვას ჩამოუგდებს, თვალები სიხარულით გაუბრწყინდება და გულიც სხვაგვარად უცემს. მას ლაპარაკი არ მოსწყინდება იმ ღირსსახსოვარ დღეებზე, საყვარელ ადამიანზე.

თბილისში ტაბიძის ქუჩაზე ცხოვრობს საქვეყნოდ სახელგანთქმულ კამოს და, რევოლუციის ვეტერანი ჯავაირა ხუტულაშვილი. იგი ახლა ღრმად მოხუცებულია. მას რომ ჰკითხოთ, რა არის თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ღირსსახსოვარიო, იგი დაუყოვნებლივ მოგიგებთ: ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის წუთები, როცა კამომ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს შემახვედრა კრემლში, მის ბინაზე.

— თუ შეიძლება ამ შეხვედრის შესახებ გვითხრათ რაიმე?

— სიამოვნებით, რატომაც არა. ის დღე გუშინდელივით მახსოვს.

1920 წელს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან ბაქოში პასუხსაგებ სამუშაოზე ვიყავი. აზერბაიჯანელ ამხანაგებთან ერთად გავემგზავრე მოსკოვში.

ცნობილია, რომ ჩემს ძმას, კამოს, ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვლადიმერ ილიას-ძესთან. ერთ დღეს კამომ მითხრა, დღეს ვ. ი. ლენინთან და ნ. კ. კრუპსკაიასთან მივდივარ მათს ბინაზე კრემლშიო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ლენინის ბინაში ვიყავით. ვლადიმერ ილიას-ძე ძალიან გულთბილად შეგვხვდა.

როცა გაიგო, რომ მე კამოს და ვიყავი და ვმუშაობდი ბაქოში, გვერდით დამისვა და გულთბილი საუბარი გამიბა. მე პირველად უხერხულობამ შემიპყრო და მოკრძალებული ვიყავი. ლენინმა ეს შეამჩნია და თავისი მომხიბლავი იუმორით გამბედაობა შემმატა. იგი დაინტერესდა ახალგაზრდა აზერბაიჯანის რესპუბლიკით, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებით. მეც ვუამბობდი აზერბაიჯანელი მშრომელების დუხჭირ ცხოვრებაზე, მათს ახალ სიხარულზე, რომელიც განთავისუფლებით იყო გამოწვეული. ვუამბობდი აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში ამ ისტორიული ძვრების პირველ შედეგებზე. ილიჩი კმაყოფილებით და განსაკუთრებული ყურადღებით მისმენდა, ბლოკნოტში რაღაცას იწერდა და თან მესაუბრებოდა.

ილიჩმა ყურადღება გაამახვილა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობაზე. მეც მოვუყევი, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იყვნენ აზერბაიჯანელი მშრომელები, რომ მათ არც საშუალება ჰქონდათ ემკურნალათ და არც სარწმუნოება აძლევდათ მის ნებას. ვუთხარი ისიც, რომ ამ მხრივ უკვე გადადგმულია ნაბიჯი და მშრომელი ხალხი აღფრთოვანებით ხვდება პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს.

გულთბილი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. მე დავტოვე ლენინის ბინა და ახლაც თითქოს მესმის ვლადიმერ ილიჩის ხმა, ხოლო მისი სახე კვლავ ცოცხლად მიდგას თვალწინ.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, — იგონებს ჯავაირა ხუტულაშვილი, — ახლო მეგობრობა მქონდა ნ. კრუპსკაიასთან. ერთხელ, ეს იყო 1932 წელს, როცა კრემლის საავადმყოფოში ვმკურნალობდი, ჩემს სანახავად მოვიდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მისახსოვრა თავისი წიგნი „მოგონებები ლენინზე", რომლის თავფურცელს ასეთი წარწერა აქვს: „ლენინისა და ძვირფასი ამხანაგის კამოს სამახსოვროდ. ნ. კრუპსკაია. 13 აპრილი, 32 წ."

კიდევ ერთი ღირსსახსოვარი დღე ჩემს ცხოვრებაში: მაგონდება 1935 წლის იანვარი, როცა ჩვენი ქვეყნის გულს — მოსკოვს ვესტუმრე. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ მთხოვა გავყოლოდი მავზოლეუმში. მავზოლეუმში შესვლისთანავე საპატიო ყარაულმა მინის სახურავი ახადა ბელადის სარკოფაგს და ჩვენ მარტონი დაგვტოვა. კრუპსკაია დაიხარა და დიდხანს უცქერდა ესოდენ საყვარელი და ახლობელი ადამიანის სახეს. დიდი ბელადის ნათელ სახეს რომ ვუცქეროდი, უნებლიეთ დამიდგა თვალწინ ილიჩი — ცოცხალი. ისეთი, როგორიც ის კრემლში, მის ბინაში ვნახე, და ვთქვი: არა, ილიჩი არ მომკვდარა, ის ცოცხლობს, მუდამ იცოცხლებს, როგორც მისი დიადი საქმე.

აბა ამაზე ღირსსახსოვარი დღეები რაღა უნდა ჰქონდეს ადამიანს. ბელადთან შეხვედრის ტკბილად მოსაგონარ წუთებზე საუბრით რა დაღლის ჯავაირა ხუტულაშვილს. იგი ყველას ხალისით უყვება იმ დღეების შესახებ, უყვება დიდის გატაცებით, მღელვარებით.

ვ. გოზალიშვილი.

* * *

სურათზე: ჯავაირა ხუტულაშვილი ბავშვებს მოუთხრობს ვ. ი. ლენინთან შეხვედრის ამბავს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## ჩვენი ფოსტიდან

◆ ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო კანტორის თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივმა კონცერტი გამართა წალენჯიხის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები კმაყოფილი დარჩნენ შესრულებული სიმღერებითა და ცეკვებით.

კ. თოლორაია.

◆ ახალი საესტრადო ანსამბლი შეიქმნა აფხაზეთის ფილარმონიასთან. ანსამბლს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ო. დარახველიძე. ანსამბლი კონცერტებს მართავს აფხაზეთის ასსრ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

ნ. მიქაშავიძე.

◆ ონის რაიონის სახალხო თეატრმა თავის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი". ამ დღეებში სახალხო თეატრმა წარმოადგინა მეორე პრემიერა — ი. ჭავჭავაძის კომედია „კეთილი მეზობლები". თეატრის კოლექტივი ამზადებს ახალ სპექტაკლს — ლ. გოთუას „თუთის პატარძალს".

ნ. დუშუაშვილი.

◆ აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა კეთილმოწყობილი კლუბი, რომლის მაყურებელთა დარბაზი 300 კაცს იტევს.

ბ. ბვაზავა.

◆ გორელმა მეკონსერვეებმა წერილი მიიღეს სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის საკონსერვო ქარხნის კოლექტივისაგან. სომეხი მეგობრები სურვილს გამოთქვამენ კვლავაც განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება თავიანთ თანამოსაქმეებთან. გორელებმა გამოწვევა მიიღეს.

ნ. მაღალდაძე.

◆ დუშეთში გაიხსნა ხორცის გადამმუშავებელი სპეციალური სამქრო, სადაც მზადდება სხვადასხვა სახის ძეხვეული, ქართული კუპატი და სხვ.

ვ. ხუცურაული.

# შემოქმედებითი აზრის ნაყოფი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

**მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1960 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:**

### მეცნიერების დარგში

1. ს. ნ. ვერნოვი, ა. ე. ჩუდაკოვი, ვ. ი. კრასოვსკი, ი. ს. შკლოვსკი და შ. შ. დოლგინოვი. **„კოსმოსური რადიაციისა და დედამიწისა და მთვარის მაგნიტური ველის გამოკვლევა".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ფიზიკის სექციამ.

2. ი. მ. ლიფშიცი, ნ. ე. ალექსეევსკი. **„ლითონებში ელექტრონთა ენერგეტიკული სპექტრების სტრუქტურის თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ს. ი. ვავილოვის სახელობის ფიზიკურ პრობლემათა ინსტიტუტმა.

3. ი. გ. პეტროვსკი. **„ციკლი ნაშრომებისა პირველი რიგისა და პირველი ხარისხის ალგებრულ მრუდეთა, ალგებრულ ზედაპირთა და ალგებრულ დიფერენციულ განტოლებათა დარგში წარმოებულის მიმართ".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის მათემატიკისა და მექანიკის სექციამ.

4. ვ. ა. ფოკი. **„ველის კვანტური თეორიის გამოკვლევანი",** გამოქვეყნებული მონოგრაფიაში **„ნაშრომები ველის კვანტური თეორიის დარგში".**

წარმოადგინა ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

5. ნ. გ. ჩეტაევი. **„ციკლი ნაშრომებისა მოძრაობის მდგრადობისა და ანალიზური მექანიკის დარგში".**

წარმოადგინეს ყაზანის საავიაციო ინსტიტუტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტმა.

6. მ. ი. კაბაჩნიკი. **„გამოკვლევანი ტაუტომერული წონასწორობის დარგში".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტოორგანული შენაერთების ინსტიტუტმა.

7. ნ. ნ. სემიონოვი. **„ქიმიური კინეტიკისა და რეაქციული უნარის ზოგიერთი პრობლემა".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტმა.

8. ნ. ი. მაკავეევი. **„მდინარის კალაპოტი და ეროზია მის აუზში".**

წარმოადგინა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტმა.

9. ვ. ი. მიხეევი. **„მინერალების რენტგენომეტრიული განმსაზღვრელი".**

წარმოადგინა ლენინგრადის გ. ვ. პლეხანოვის სახელობის სამთო ინსტიტუტმა.

10. ნ. პ. სემენენკო, ნ. ი. პოლოვკო, გ. ვ. ჟუკოვი, ი. მ. გრიცკოვი, ვ. დ. ლადიევა, ა. ა. მაკუხინა, ა. ა ნასტენკო. **„უკრაინის სსრ რკინოვან-კაჟოვან ფორმაციათა პეტროგრაფია", „უკრაინის რკინოვან-კაჟოვან ფორმაციათა გეოლოგია".**

წარმოადგინა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის მეცნიერებათა ინსტიტუტმა.

11. ბ. ე. ბიხოვსკი. **„მონოგენეზისური მწოველები. მათი სისტემა და ფილოგენია".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტმა.

12. ა. ე. კრისი. **„ზღვის (ღრმა წყლის) მიკრობიოლოგია".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ბიოლოგიის მეცნიერებათა სექციამ.

13. დ. ნ. ნასონოვი. **„პროტოპლაზმის ადგილობრივი რეაქცია და გავრცელებადი აგზნება".**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციტოლოგიის ინსტიტუტმა და ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

14. ვ. ვ. ვინოგრადოვი. **„მხატვრული ლიტერატურის ენა".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტმა (პუშკინის სახლი).

15. ვ. პ. ვოლგინი. „გამოკვლევანი მარქსამდელ სოციალისტურ მოძღვრებათა ისტორიის დარგში, ჩამოყალიბებული წიგნში **„საზოგადოებრივი აზრის განვითარება საფრანგეთში XVIII საუკუნეში", სერიით „მეცნიერული სოციალიზმის წინამორბედნი" და სხვა ნაშრომებში".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა.

16. ა. ა. ვიშნევსკი, პ. ა. კუპრიანოვი, ე. ნ. მეშალკინი, ბ. ვ. პეტროვსკი. **„გულისა და დიდრონ სისხლძარღვთა ახალი ოპერაციების დამუშავება".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გულმკერდის ქირურგიის ინსტიტუტმა.

17. ვ. ი. მურაშოვი. **„რკინაბეტონის სიხისტისა და ბზარგამძლეობის თეორიის დამუშავება".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ბეტონისა და რკინაბეტონის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

18. ს. დ. პონომარიოვი, ვ. ლ. ბიდერმანი, კ. კ. ლიხარიოვი, ნ. ნ. მალინინი, ვ. მ. მაკუშინი, ვ. ი. ფეოდოსიევი. **„გაანგარიშებანი სიმკვრივეზე მანქანათმშენებლობაში"** (I, II და III ტომები).

წარმოადგინა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა.

19. ი. ზ. ციპკინი. **„იმპულსური და რელეური ავტომატური სისტემების თეორია (გარდამავალი და დამყარებული პროცესები იმპულსურ ჯაჭვებში, ავტომატური რეგულირების რელეურ სისტემათა თეორია, იმპულსურ სისტემათა თეორია)".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტმა.

### ტექნიკის დარგში

1. ს. ა. ლებედევი, მ. კ. სულიმი, მ. რ. შურა-ბურა, ვ. ი. ალექსეევი, ი. რ. ვალაშეკი, პ. პ. გოლოვისტიკოვი, ვ. მ. კარასიკი, ვ. ს. კლეპინინი, ა. ფ. კონდრაშევი, ე. ნ. კრივონოსოვი, ლ. ნ. კუზნეცოვა, ი. ვ. კუტლიანცევი, ა. ი. ლაზარევი, ვ. ნ. ლაუტი, ვ. ი. ლევშინი, ს. გ. ლოპატინი, ვ. ვ. ნაჩინკინი, ვ. ს. პეტროვი, ო. ნ. რიბნიკოვი, ა. ა. სოკოლოვი, ა. ა. სოლოვიოვი, მ. ვ. ტიაპკინი, ა. ს. ფედოროვი. **„უნივერსალური ელექტრონული გამოსათვლელი მანქანის მ-20 შემუშავება და სახალხო მეურნეობაში დანერგვა".**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტმა და მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

2. ს. მ. ფეინბერგი, ვ. ვ. გონჩაროვი, ვ. ი. მერკინი, ტ. ნ. ზუბარიოვი, გ. ა. სტოლიაროვი, პ. ი. ხრისტენკო, ვ. ფ. კოზლოვი, ო. ი. ლიუბიმცევი. **„საკვლევი წყალ-წყლის რეაქტორების კომპლექსი".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ენერგიის ინსტიტუტმა.

3. ა. ი. ბოლოტინი, გ. ა. სურგუჩოვი, ა. გ. ფილატოვი, ლ. ტ. შტერნი, ვ. ტ. ლევშუნოვი, ზ. ღ. ბომშტეინი, ა. პ. ფედოროვსკი, პ. ვ. კოლგანოვი, ნ. მ. ვორონიჩევი, ს. ი. იგნატოვი. **„ახალი მაღალი წარმადობის მეთოდები ჩარხების ნაკადური წარმოების ტექნოლოგიაში".**

წარმოადგინა მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

4. ვ. დ. ბუდკოვი, ა. რ. ზახაროვი, ლ. ა. ზიგლინი, ბ. ე. ილინი, ი. მ. კრატენკო, დ. ს. კუდინოვი, პ. ნ. პერმიაკოვი, ა. ი. პოტაპოვი, ვ. ი. რუსაკოვი, პ. ვ. სემიონოვი, ვ. ე. სიროტკინი. **„მექანიზებული სამაგრების „მოსბასის" შექმნა და წარმოებაში დანერგვა".**

წარმოადგინეს ტულის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ, ტულის ქვანახშირის მრეწველობის პროფკავშირის საოლქო კომიტეტმა და ტულის სამთო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საოლქო გამგეობამ.

5. ა. პ. ვლაძიევსკი, ვ. ი. აბანკინი, ი. ს. ბოგომოლოვი, ბ. ა. გლადკოვი, ი. ა. კოლოდნი, ა. ლ. კუპცოვი, ა. ე. პროკოპოვიჩი. **„ტიპური ხელახლა აწყობადი ავტომატური ხაზების დაპროექტების თეორიული საფუძვლების შემუშავება და შექმნა".**

წარმოადგინა ლითონსაჭრელი ჩარხების საექსპერიმენტო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

6. პ. ა. კამიშევი, ნ. ი. ერანოვი, ე. ი. გლინერი, ვ. გ. მატიაევი, ვ. ი. ფროლოვი, ბ. ა. შვეჩკოვი, მ. ა. შკაევი, ე. ზ. გორბუნოვი, ა. მ. გროშიხინი. **„ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის შემუშავება და დანერგვა მანქანათმშენებლობის ნაკეთობათა რთული და ზუსტი პროფილების მექანიზებული დამუშავებისათვის და ხელის შრომატევადი ოპერაციების შეცვლა მაღალი წარმადობის პროფილური ხეხვით".**

წარმოადგინა გორკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

7. ი. ვ. კრაგელსკი, ა. ვ. ჩიჩინაძე, გ. ა. გეორგიევსკი, ლ. გ. ივანოვა, ტ. ა. კოლესოვა (რეევსკაია). **„ახალი არალითონური ფრიქციული მასალის შექმნა „რეტინაქსის" მანქანათმშენებლობისათვის".**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტმა და აზბესტის ტექნიკურ ნაკეთობათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა.

8. ა. დ. კუზმინი, ვ. ა. ქუკევიჩ-სტოშა, ნ. ი. კრილოვი, ბ. ფ. კულიკი. **„ტიპური უწყვეტი სანამზადო დგანის 850 (700) 500 შექმნა და არსებული უწყვეტი სანამზადო დგანების წარმადობის გადიდება"**

წარმოადგინა მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტმა.

9. ბ. ს. კურჟელევსკი, ა. ფ. პანოვი, გ. ტ. ბაიუშევა, ა. ნ. ნიკიტინი, პ. ვ. ვდოვიჩენკო, ლ. ფ. ნირკოვი, ვ. ი. გუსევი. **„რადიოტექნიკური კონდენსატორების წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია".**

წარმოადგინა მოსკოვის (საოლქო) ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

10. მ. ე. მაცეპურო, რ. ლ. ტურეცკი, ტ. მ. ბესპალოვი. **„მანქანების სისტემის დამუშავება და წარმოებაში დანერგვა ჭაობებისა და დაჭაობებული მიწების ამოშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების პროცესების მექანიზაციისათვის".**

წარმოადგინა ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ.

11. ზ. ი. ნეკრასოვი, ნ. ი. კრასავცევი, ი. ი. კორობოვი, ვ. ი. სუროვოვი, პ. ი. ლიხორადოვი, გ. გ. ორეშკინი, ა. ნ. ჩეჩურო. **„ბუნებრივი გაზის გამოყენება საბრძმედე წარმოებაში".**

წარმოადგინეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და დნეპროპეტროვსკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

12. ი. ბ. პეისახზონი, ნ. კ. კულაკოვი, ი. გ. მოლოდცოვი, ბ. ს. კუშლიანსკი, ე. მ. იზრაელიტი, ი. ვ. ვიროზუბი, ს. ი. კაფტანი, ი. ლ. ნეპომნიაშჩი, მ. ნ. ცარიოვი, ა. ი. შევჩენკო, ა. კ. შოლკოვი, ა. ტ. ანტონოვი. **„დიდი ტევადობის საკოქსე ღუმელები".**

წარმოადგინა სტალინოს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

13. ა. მ. სამარინი, ლ. მ. ნოვიკი, ა. ფ. ტრეგუბენკო, ნ. ი. გონჩარენკო, გ. ე. ცუკანოვი, გ. ა. გარნიკი, პ. დ. როგოზა, დ. პ. ულიანოვი, ა. ს. ქოლტოვი, ს. პ. ზამოტაევი, ვ. ს. ზამეშაევი, ს. მ. ფილიპოვი, მ. ი. ბროიდე, ა. ვ. ფილატოვი, ა. ვ. მიკულჩიკი, ა. ლ. ბოგოროდსკი, ვ. კ. ნოვიცკი. **„ფოლადისა და ფეროშენადნობთა ხარისხის გაუმჯობესება ვაკუუმირების მეთოდით".**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ა. ბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტმა, დნეპროპეტროვსკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ, ქარხანა „დნეპროსპეცსტალმა" და სვერდლოვსკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

14. ა. ე. ულიტოვსკი. **„უშუალოდ თხევადი ფაზიდან წვრილი და ზეწვრილი ლითონის ძაფების მიღების მეთოდი".**

წარმოადგინეს აკადემიკოსებმა: ი. პ. ბარდინმა, ი. ვ. ობრეიმოვმა, ნ. ნ. სემიონოვმა, ვ. ა. კოტელნიკოვმა და პროფესორმა პ. კ. ოშჩეპკოვმა.

15. მ. ი. აგოშკოვი, პ. ი. გალჩენკო, ე. ფ. ალექსანდროვი, ა. ფ. ნაზარჩიკი, ა. მ. ნეჩაევი, ა. ი. პოდკოპაევკინი, ა. პ. ლედნევი, მ. ნ. ბოიკო, პ. პ. პავკინი. **„საწმენდი ამოღების ტექნოლოგიის ძირეული სრულყოფა მცირესიმძლავრიანი საბადოების დამუშავების დროს".**

წარმოადგინა ზღვისპირეთის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

16. ლ. გ. ჟუკოვსკი, კ. ა. სოტირიადი, ხ. ტ. ტულიაგანოვი, ნ. პ. ბაშაევი, მ. ფ. შევჩენკო, ს. ი. ილინი, ი. ტ. ლევკინი, ი. ვ. პეტროვი, ი. ვ. კაეში, ა. გ. ბაბაევი, ა. ა. ბაკიროვი, ე. ვ. კუდრიაშოვი, პ. ნ. ინიაკევი, ვ. ი. ჩერნოვი. **„საბჭოთა კავშირში უდიდესი გაზლინსკის ბუნებრივი გაზის საბადოს აღმოჩენა და დაზვერვა".**

წარმოადგინა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მთავარმა სამმართველომ.

17. ს. ტ. კოროტკოვი, ი. ა. ბრაგინი, ვ. ნ. ევსტრატოვი, ა. გ ზადოვი, გ. დ. ილინი, ა. ო. კ. კარაევი, ნ. მ. კარპენკო, კ. ი. კიიკო, კ. ფ. კოჟემიაკინი, მ. რ. პუსტილნიკოვი, ი. ი. სოლოვიოვი, ს. ი. სლეუსარევი. **„დიდი გაზკონდენსატის საბადოების აღმოჩენა კრასნოდარის მხარეში".**

წარმოადგინა კრასნოდარის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა სამხარეო საბჭომ.

18. ა. პ. კრილოვი, ე. პ. ბორისოვი, ა. ნ. ბუჩინი, პ. ს. ვასილიევი, ო. ი. დოროხოვი, ვ. ა. ერონინი, მ. მ. ივანოვა, ვ. ა. კალამკაროვი, მ. ი. მაქსიმოვი, რ. შ. მინგარეევი, მ. ფ. მირჩინკი, ფ. ა. ტრებინი, ა. ა. ტროფიმუკი, ა. პ. ჩოპოროვი, ა. ტ. შმარევი. **„კონტურსშიგნითა წყალჩაჭირხნის გამოყენებით დამუშავების ახალი სისტემა სსრ კავშირში უდიდეს რომაშკინოს ნავთობის საბადოში".**

წარმოადგინა საბჭოთა კავშირის ნავთობგაზის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

19. კ. ს. ალაბიანი, ვ. მ. ბოლშაკოვი, გ. ფ. კუზნეცოვი, მ. ვ. სოლდატოვი, ა. კ. მკრტუმიანი, ნ. პ. როზანოვი, რ. ლ. ტურკო. **„დიდ პანელიანი სახლთმშენებლობის პრობლემის დამუშავება"**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის მშენებლობის, არქიტექტურისა და სატრანსპორტო მშენებლობის სექციამ.

20. ო. კ. კოლომიეცი, ა. ვ. პოპოვი, ს. პ. უსტიმენკო, გ. ს. მოკანი, ი. ფ. ბუზანოვი, ნ. ი. ორლოვსკი, მ. გ. ბორდონოსი. **„ერთთესლანაყოფიანი შაქრის ჭარხლის ახალი ფორმის შექმნა და ჯიშების გამოყვანა".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის სოფლის მეურნეობის სექციამ.

21. ა. ლ. მნჯოიანი. **„გამოკვლევა ფიზიოლოგიურად აქტიური შენაერთების სინთეზის დარგში".**

წარმოადგინა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა.

22. გ. გ. აგაბალიანცი, ს. ა. ბრუსილოვსკი, ა. ა. მერჟანიანი. **„ღვინის შამპანიზაცია უწყვეტ ნაკადად".**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის კვების მრეწველობის სექციამ.

* * *

აქვეყნებს რა ნაშრომთა სიას, რომლებიც დაშვებულია კონკურსში მონაწილეობისათვის 1960 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად, კომიტეტი საბჭოთა საზოგადოებრიობას მიმართავს თხოვნით აცნობოს თავისი აზრი როგორც ამ ნაშრომთა შინაარსის, ისე ავტორთა კოლექტივების შემადგენლობის შესახებ.

სიაში ჩამოთვლილი მეტი წილი ნაშრომების მონაწილეთა შემადგენლობანი დატოვებულია უცვლელად (წინანდელ პუბლიკაციასთან შედარებით) იმ მიზნით, რომ შემდგომ დაზუსტდეს თვითეული თანაავტორის შემოქმედებითი წვლილი შემდგომი განხილვის დროს.

კომიტეტის თხოვნაა ყველა შეფასება და შენიშვნა კონკურსში დაშვებულ ნაშრომთა და მათ მონაწილეთა შესახებ გამოიგზავნოს ა. წ. 1 აპრილამდე მისამართით: ქ. მოსკოვი, ი-51, ნეგლინნაია ქუჩა 29/14.

იმისათვის, რომ საზოგადოებრიობა უფრო ადვილად გაეცნოს აღნიშნულ ნაშრომებს მთელი მასალა მათ შესახებ გადაეცემა სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას (ქ. მოსკოვი ნოგინის მოედანი, სახ. 2/5 — შესასვლელი № 4) და სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას (ქ. მოსკოვი, კუზნეცკის ხიდი, სახ. 12).

# ვ. ი. ლენინი და ქვეყნის ელექტროფიკაცია

## გოელროს 40 წლისთავის გამო

დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1920 წლის 21 თებერვალს საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის შემუშავების შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააარსა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისია გ. მ. კრჟიჟანოვსკის თავმჯდომარეობით. კომისიის წინაშე იდგა ფრიად სერიოზული ამოცანა — შეემუშავებინა მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა, რომელიც გაითვალისწინებდა არა მარტო იმპერიალისტური ომისა და უცხოეთის ინტერვენციის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას ომამდელი რუსეთის ეკონომიკის დონემდე, არა მარტო ელექტროსადგურების აშენებას, არამედ მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ძირეულ რეკონსტრუქციას და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებას. ახასიათებდა რა ამ გეგმის მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი ინგლისური გაზეთ „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტთან საუბარში ამბობდა: „ელექტროფიკაცია გარდაქმნის რუსეთს. ელექტროფიკაცია საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე შექმნის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საფუძვლების, კულტურული ცხოვრების საფუძვლების საბოლოო გამარჯვებას, ცხოვრებისა უექსპლოატატორებოდ, უკაპიტალისტებოდ, უმემამულეებოდ, უვაჭრებოდ".

ცხრა-ათი თვის ნაყოფიერი კოლექტიური მუშაობის შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი საუკეთესო მოღვაწე, შედგენილ იქნა „რსფსრ ელექტროფიკაციის გეგმა" 650-გვერდიანი ტომეულის სახით და წარედგინა განსახილველად საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობას (1920 წლის 22-23 დეკემბერი).

ყრილობამ მოიწონა წარმოდგენილი გეგმა და დაამტკიცა იგი როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი პერსპექტიული გენერალური სახელმწიფო გეგმა.

ეს იყო გრანდიოზული, იმ დროისათვის გაბედული გეგმა, რომლის განხორციელება საეჭვოდ მიაჩნდათ ყველაზე გაბედულ მეოცნებეებსაც კი. სოციალიზმის მტრები, ტროცკისტები, სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტები სახელს უტეხდნენ გოელროს გეგმას, ლამობდნენ მის ჩაშლას. ლენინმა და მისმა ერთგულმა მოწაფეებმა ამხილეს და გააცამტვერეს მათი მტრული გამოსვლები. კომუნისტურმა პარტიამ მჭიდროდ დარაზმა ფართო მასები. გოელროს ლენინური გეგმის გარშემო და უზრუნველყო მისი შესრულება ვადაზე ადრე, ნაცვლად 15 წლისა 10-12 წელიწადში. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საფუძველზე გოელროს გეგმისა და ომამდელი ხუთწლიანი გეგმების განხორციელების შედეგად, სსრ კავშირი უმოკლეს ისტორიულ ვადაში გადაიქცა აგრარული ქვეყნიდან მსოფლიოში უდიდეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. სამრეწველო პროდუქციის წარმოების დონის მიხედვით, მათ შორის ელექტროენერგიის გამომუშავების მიხედვით სსრ კავშირი გამოვიდა პირველ ადგილზე ევროპაში და მეორე ადგილზე მსოფლიოში.

* * *

მიმდინარე შვიდწლედი მოასწავებს გადამწყვეტ ეტაპს მთლიანი ელექტროფიკაციის ლენინური იდეის განხორციელებაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ელექტროსადგურების სიმძლავრე

**კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია.**

*ვ. ი. ლენინი*

გაიზრდება 58-60 მილიონი კილოვატით. ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდწლედში მწყობრში ჩადგება დაახლოებით 35-ჯერ მეტი სიმძლავრე, ვიდრე გოელროს გეგმით იყო დასახული. შვიდ წელიწადში 35 გოელრო — აი როგორია სოციალისტური ელექტროენერგეტიკის განვითარების ახლანდელი ტემპი და მასშტაბი. ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ასეთი ზრდა საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება 1959 წლის 264 მილიარდი კილოვატ-საათიდან 500-520 მილიარდ კილოვატ-საათამდე შვიდწლედის ბოლოს.

მიმდინარე შვიდწლედში გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროენერგეტიკული ბაზა. 1960 წლის 30 იანვარს დაიწყო ლაჯანურჰესის პირველი აგრეგატის სამრეწველო ექსპლოატაცია, 6 თებერვალს — მეორე აგრეგატისა. მალე დამთავრდება ამ მაღალკაშხალიანი შესანიშნავი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ამას მოჰყვება სამშენებლო ბაზის გადანაცვლება მდინარე ენგურის ხეობისაკენ. შორს არ არის ის დრო, როცა გაშლილი ფრონტით დაიწყება იერიში მდინარე ენგურზე — „თეთრი ნახშირის" ამ ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი არსენალის დასაპყრობად. მდინარე ენგურის კასკადის პირველი რიგი — ენგურჰესი მოგვცემს დიდძალ იაფ ელექტროენერგიას. მაგრამ ვიდრე ენგური ხალხის სამსახურში ჩადგებოდეს, დროის მოგებისა და ელექტროენერგიის დეფიციტის ლიკვიდაციის მიზნით სწრაფად აშენდება რუსთავის სახელმწიფო რაიონული მძლავრი ელექტროსადგური ბუნებრივი გაზის გამოყენების ბაზაზე და მწყობრში ჩადგება მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგური — ხრამჰესი — II.

აშენდა მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზები თბილისი-ქუთაისი-ლაჯანურჰესი, თბილისი-მინგეჩაურჰესი. საქართველოს ენერგოსისტემაში ჩართულ იქნა ალაზანჰესი. ახლო ხანში დამთავრდება ამიერკავკასიის ენერგეტიკული სისტემის შექმნა, რომელიც ჩართულ იქნება სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში. მალე დამთავრდება სტალინგრად-მოსკოვის 500-ვოლტიანი ზემაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა. მიმდინარე შვიდწლედში სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნით განხორციელდება მთლიანი ელექტროფიკაცია ტერიტორიისა ბათუმიდან მურმანსკამდე, კარპატის მისადგომებიდან ურალის აღმოსავლეთ კალთებამდე. ერთდროულად იქმნება ციმბირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა.

ერთიანი ენერგეტიკული სისტემა ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვას და რაციონალურ გამოყენებას, თვითეული ადმინისტრაციულ-ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას. ყველა სამრეწველო საწარმოს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, მშენებლობას, სარემონტო-ტექნიკურ სადგურს, ყველა დასახლებულ პუნქტს შესაძლებლობა მიეცემა ისარგებლოს ელექტროენერგიით, როგორც წარმოების პროცესებისათვის, ისე საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. რკინიგზების ელექტროფიკაციასთან ერთად ელექტროფიცირებულ უნდა იქნას მათ ზონაში მდებარე ქალაქები, დაბები, სოფლები და ყველა დასახლებული პუნქტი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების, როგორც კომუნიზმის აშენების გადამწყვეტი ფაქტორის ყველაზე პროგრესულ ენერგეტიკულ საფუძველს ელექტროენერგია წარმოადგენს. ტექნიკური პროგრესის ყველა ძირითადი მიმართულება — კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. წარმოების ქიმიზაცია და სხვ. — მჭიდროდ დაკავშირებულია ელექტროენერგიის გამოყენებასთან წარმოების პროცესის ყოველ უბანზე.

დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა ელექტროენერგიის გამოყენება ფეროშენადნობთა წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში. ფეროშენადნობის თვითეული ტონის გამოდნობა ელექტროღუმელებში 2-ჯერ ნაკლები ჯდება ბრძმედებთან შედარებით.

ელექტროენერგეტიკის შემდგომი უპირატესი ზრდისა და მისი სწრაფი ტემპების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის პროგრამის განხორციელება. ამიტომ შვიდწლიანი გეგმით დასახულია სამრეწველო პროდუქციის გადიდება 80 პროცენტით, ხოლო ელექტროსადგურების დადგმულ სიმძლავრეთა გადიდება ორჯერ და უფრო მეტად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ჰიდროელექტროსადგურები, მათზე თავდაპირველი დაბანდების შედარებითი სიდიდის მიუხედავად, სსრ კავშირის ყველაზე ეფექტური ჰიდროელექტროსადგურების რიცხვს მიეკუთვნება. რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციის შედეგები მოწმობს, რომ ისინი სწრაფად ანაზღაურებენ მათ მშენებლობაზე გაწეულ კაპიტალდაბანდებას. რაც უფრო მსხვილია ჰიდროელექტროსადგური და რაც უფრო მძლავრია მისი თვითეული აგრეგატი, მით უფრო ნაკლებია სხვა თანასწორ პირობებში ჰიდროელექტროენერგიის თვითღირებულება. მაგალითად, ენგურჰესის მიერ გამომუშავებული თვითეული კილოვატ-საათი დაახლოებით ეღირება იმდენი, რამდენიც ციმბირის მდინარეებზე აგებული ჰესების ყველაზე იაფი ელექტროენერგია.

საქართველოს მდიდარი პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისება 1960 წლის 1 იანვრისათვის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში იგი 50 პროცენტამდე აღწევს. ამავე დროს რესპუბლიკას საკუთარი სათბობი არ ჰყოფნის და იძულებულია შემოზიდოს იგი შორეული რაიონებიდან (დონბასი).

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების მოცულობა ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროენერგეტიკული ბაზის შემდგომი მძლავრი ზრდისა და განმტკიცების აუცილებელი პირობაა ვ. ი. ლენინის ისტორიული მითითების სრული და ბოლომდე თანმიმდევრული რეალიზაცია, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა შვიდწლედში ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის ლენინური იდეის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ი. კოდუა,
დოცენტი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.





# ამერიკა ერთი თვალის შევლებით

ნიუ-იორკის შემდეგ ვაშინგტონი პროვინციული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს (ასევე პროვინციული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებენ ნიუ-იორკის შემდეგ ევროპის ქალაქებიც). ავტომანქანებიც ვეღარ ელავენ ისე, როგორც ნიუ-იორკში. ისინი უმეტესად ნიუიორკელების გამონაცვალი უნდა იყოს. ქუჩაში ფეხით მოსიარულეებს იშვიათად შეხვდებით, და თუ ვისმე შეხვდით, თქვენსავით ჩამოსულია ამ ქალაქის სანახავად.

აქ უკვე ტრამვაიც არის, ისიც ძველებური, ერთვაგონიანი.

სადღაა ცათამბჯენები!..

მარმარილოს ძველებურ სასახლეებში ცალცალკე, სხვადასხვა ქუჩაზეა მოთავსებული ამერიკის სახელმწიფო დაწესებულებები.

ვაშინგტონი ამერიკის პრეზიდენტთა ხსოვნას განსაკუთრებული პატივისცემით ინახავს. ქალაქის ცენტრში დგას გრანდიოზული მონუმენტი ლინკოლნისა, იქით ვაშინგტონის ცათამბჯენი ობელისკი და აქეთ ჯეფერსონის ძეგლი.

ევროპის ქალაქებთან შედარებით არც ვაშინგტონშია მაინცდამაინც სანიმუშო სისუფთავე. მაგრამ ამბობენ, ქალაქის დანაგვიანების რეკორდი ამერიკაში ბალტიმორს ეკუთვნისო.

ჩვენ დავათვალიერეთ ვაშინგტონის ნაციონალური სასაფლაო. ამ სასაფლაოზე მილიონზე მეტი ამერიკელია დამარხული. ეს ის ამერიკელები არიან, რომელთა პატრონობაც სახელმწიფომ გასწია ამერიკის წინაშე მათი განსაკუთრებული დამსახურების გამო. მათ საფლავებზე უბრალო ქვის ჯვრებია. ეს ქვის ჯვრები ყოფილა ქვეყნისათვის თავდადებულთადმი სახელმწიფოს პატივისცემის სიმბოლო.

ერთ ახალ საფლავს ახლაც თხრიდნენ ბულდოზერით.

აგერ დალესი...

პატარა, ჯაჭვით შემოკავებული საფლავი მილიონ შემოუკავებელ საფლავს შორის. აქაც ამერიკის მთავრობის სახსოვარი — ქვის პატარა ჯვარი, ეს არის და ეს...

დალესი... „ცივი ომი", „ძალის პოლიტიკა", „ბალანსირება ომის ზღვარზე"... ახლა ქვის პატარა ჯვარი...

დავათვალიერეთ თეთრი სახლი. თუმცა დასათვალიერებელი აქ ბევრი არაფერია. ეს ერმიტაჟი არ არის, არც ლუვრი... ჩვეულებრივი ორ-სამსართულიანი ევროპული ყაიდის სახლია, სულ 132 ოთახისაგან შემდგარი. აქედან პრეზიდენტს ეკუთვნის 52 ოთახი (ეყოფა!). როგორც კი კაცი პრეზიდენტი შეიქმნება, კანონის მიხედვით იგი აქ, თეთრ სახლში, გადმობარგდება საცხოვრებლად და ცხოვრობს აქ მანამდე, სანამ ყავლი გაუვიდოდეს და გადაირჩევდნენ. თეთრ სახლში, ეტყობა, ყველაფერს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. კედლებზე ჰკიდია დიდი სურათები ადამიანებისა, ვისაც ამერიკაში პრეზიდენტის მაღალი პოსტი სჭერია.

არც თეთრი სახლის ბაღია მაინცდამაინც აღსანიშნავი. იგი ვერ შეედრება ვერც ბელგიის სამეფო პარკს, ვერც ინდოეთის პრეზიდენტის ბაღს და, მით უმეტეს, ვერც ვერსალის დიდებულ სამეფო ბაღს.

დილით ჩვენ კომფორტაბელური ავტობუსით ამერიკის შუაგულისაკენ წავედით.

წავედით ქალაქ ლენსინგტონისკენ, ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორის სტეფან ფოსტერის სამშობლოსაკენ, რომელიც ვაშინგტონს ათას ასი კილომეტრით არის დაშორებული. ლენსინგტონში ფოსტერის საიუბილეო დღეებზე მიგვიწვიეს.

გზები ამერიკაში ნამდვილად წესრიგზეა. მე არ ვიტყვი, რომ ეს გზები ზომაზე მეტად ფართოა. არა, გზა გზაა, მაგრამ ვერსად ნახავთ შეუკეთებელ, უყურადღებოდ მიტოვებულ უბანს. ეტყობა, შეკეთება ისე ხშირად არც ესაჭიროება (გზა ბეტონისაა). შუაზე თავიდან ბოლომდე აუცილებლად თეთრი ხაზით არის გაყოფილი, სადაც უნდა იყოს — სოფლად თუ ქალაქად. მიდის მანქანა თავის გზაზე და ღამით შეუძლია ფარები არ ჩააქროს. გზებზე განუწყვეტელი მოძრაობაა, მაგრამ შენ შენი გზა გაქვს. იარე.

აღმოსავლეთი ვირჯინია...

მანქანა მიჰქრის მშვენიერ ტყეებში გაჭიმულ გზაზე. გზის ორივე მხარეს საავარაკო სახლებია. გზის პირად მაღაზიები. გაბმული რეკლამები... დაიწყო პატარა გორაკები...

გორაკებზე სიმინდის ყანები, მოვლილი, გათოხნილი, უკვე თავნაყარი. მე ვერ ვიტყვი, რომ ისეთივე ჯიშიანი, როგორც დასავლეთ საქართველოში იცის ხოლმე. ხეხილით სავსე ბაღები. თეთრხალებიანი შავი ძროხები.

დასავლეთი ვირჯინია უკვე მთებშია. ყველა სახლი ახალი გეჩვენებათ, ალბათ ხშირად ღებავენ გარედან. ამერიკული ეზოები, სადაც მწვანე კოინდარს თანაბრად პარსავს პატარა მანქანა... პატარა წითელ ტრაქტორზე სხედან და მთის ფერდობებს მოხერხებულად ხნავენ. სიმინდებშიც დაძვრებიან პატარა სათოხნი მანქანები. სათიბშიც პატარა მანქანები დასრიალებენ და გეგმიანად აწყობენ თივას აქეთ-იქით.

საერთოდ ამ ქვეყანაში შესამჩნევია პატარა მანქანების კულტურა. მე მგონია, ჩვენ ჯერ კიდევ სათანადო პატივს არ ვცემთ პატარა მანქანებს, უზარმაზარი გვიყვარს.

• • •

ჩვენ უნდა გავიაროთ ოთხი შტატი. მერილენდი, აღმოსავლეთი ვირჯინია, დასავლეთი ვირჯინია, კენტუკი.

და აი ლენსინგტონიც...

პატარა მწვანე ბაღებში ჩაფლული ქალაქი. ჩვენებური ეზოები, ცისფერ აუზებში ბავშვები დაცურავენ, გაზონებში უამრავი ვარდ-ყვავილია.

ვეებერთელა საზაფხულო თეატრში (თეატრი აქ ტყეშია) გაიმართა სტეფან ფოსტერის საიუბილეო საღამო. ეს ჩვენებურ საიუბილეო საღამოს არა ჰგავდა. საიუბილეო საღამოს მოწყობაში ჩვენ ნიჭი და გამოცდილება თითქოს არ გვაკლია. თბილისში სულ ცოტა თვეში ოთხი-ხუთი ვისიმე საიუბილეო საღამო მაინც გვაქვს. ფოსტერის იუბილე გახლდათ სპექტაკლი მისი შემოქმედების მოტივებიდან. იგი მუსიკალური ფოლკლორის შემკრები ყოფილა და სპექტაკლი საინტერესო იყო ხალხური ნიღბების შესანიშნავად გათამაშებით.

ამ პატარა ქალაქში ჩვენ ღამე სასტუმროში არ გაგვათევინეს. მიგვიყვანეს ოჯახში (ალბათ განზრახ), რომ ჩვენთვის „საშუალო ამერიკელის" ცხოვრება ეჩვენებინათ.

პირველ ყოვლისა, ეს არ იყო ისეთი ოჯახი, სადაც, როგორც იტყვიან, სტუმარი ვერ მიიყვანო. პაულ კრაუზეს, ჩვენს მასპინძელს, ვისკის ქარხნის ინჟინერსა და საამქროს უფროსს, ერთსართულიანი სახლი აქვს. კრაუზე, რასაკვირველია, ხელმოკლე კაცი არ არის თავისი მდგომარეობით და სახლიც სათანადოდ მოუწყვია, თანამედროვე ამერიკული საოჯახო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ეს დაახლოებით ისეთი „საშუალო ამერიკელის" სახლია, როგორსაც ამერიკელები თავიანთ მოსკოვის გამოფენაზე უჩვენებდნენ.

მანქანა შედის, ასე ვთქვათ, შიგ სახლში, კორიდორში, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ საცხოვრებელი ოთახებია. ასე, რომ მანქანიდან შეგიძლიათ შეაღოთ კარი პირდაპირ მისაღებ ოთახში. კედლები თხელი სპეციალური საშენი მასალით არის ნაგები, როგორც ფინური სტანდარტული სახლების კედლები. სახლში ზედმეტი, უნდა ითქვას, არაფერია. აქ ყოველი საგანი შეიძლება პირველი მოთხოვნილების საგნად ჩაითვალოს.

ბინაში ამერიკელის მთავარი ყურადღება, ეტყობა, მომსახურებაზეა გადატანილი: სამზარეულო, აბაზანა, ყოველმხრივი ტუალეტი, გარაჟი...

დილით ქალაქიც ვნახეთ. ამერიკაში ვეღარც ერთ ქალაქში ვერ გაიგებთ ჩაცმის „მოდას". ვისაც როგორ უნდა, ისე იცვამს, მით უმეტეს, ეტყობა, ზაფხულში. თავზე კი რას არ იხურავენ აქაური ქალები. თითქოს და რაც უშნოვნიათ, მახნოს ჯარისკაცებივით ყველაფერი ქუდად გამოუყენებიათ. ზოგ მათგანს მთელი ხილის ბაღი, ნატიურმორტი აყრია „შლიაპაზე": ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ისე როგორც ძველ თბილისელ მოქალაქეს — თარფი. გაფშეკილ კაბებს კი ნუღარ იტყვით (თუმცა ამ მხრივ ახლა ჩვენი ახალგაზრდა ქალებიც სცოდავენ).

გვიჩვენეს ქალთა სკოლა. აქ ყველაფერს ასწავლიან, რაც ქალს ცხოვრებაში გამოადგება. საგნებს გარდა აქ გადიან ჭრა-კერვას, საჭმლის დამზადებას, სამზარეულოს ტექნიკის მოვლასა და ხმარებას, მაგიდის გაწყობას, ბავშვის მოვლას.

აფთიაქში თითქმის ყველგან ამერიკაში ყველაფერი იყიდება: წამალი, მანქანის საბურავი, კალმისტარი და რვეული, წიგნი და ჟურნალი, ბავშვის სათამაშოები... ინებეთ... სასმელებიდან აქ სხვათა შორის იყიდება მათი ცნობილი „სამეფო არაყი". თაფლის არყის გემოს მცოდნე ჩვენი კაცი იმ „სამეფოს არაყს" მეფეს კი არა, ამერიკელ ჯარისკაცსაც არ შეჰკადრებს. ანწლის გემო აქვს.

კვლავ გზა. თვითმფრინავმა „დელტამ" ქალაქ ჩიკაგოსკენ გამართა ფრთები.

აგერ გამოჩნდა ჩიკაგოც...

ასე იწყება „ქალაქი", ემილ ვერჰარნის ცნობილი ლექსი:

„სქელ ნისლებიდან
ამოზრდილი სართულ-სართულად,
დაწნულ კიბეთა
სრბოლით ცაში რომ იტყორცნება,
აღზევებული, აზიდული გოლიათურად,
თვალშეუდგამად აფრენილი, როგორც
ოცნება".

ჩიკაგო...

ვეებერთელა აეროდრომი... აეროპორტის ორომტრიალი... აეროპორტთან უთვალავი ავტომანქანა ათასგვარი და ათასნაირი... უგანიერესი ქუჩები... უმაღლესი ცათამბჯენები... დოკები და საოკეანო ხომალდები... რკინიგზების დახლართულობა. მეტალურგიული ქარხნების უმაღლესი მილები... ათასეული ცისტერნები და ვაგონები... რადიოანძები და ცაში აჭრილი ხიდები... გარაჟები და ამწეები... სკვერები და აუზები... მოედნები და სტადიონები... რკინიგზის სადგურები და აკვედუკები... რესტორანზე რეკლამა: „ვიწვევთ მაგარ მჭამელებს".

ამბობენ, ჩიკაგოელებს ძალიან უყვართ, როცა მათს ქალაქს აქებთ და, პირიქით, ძალიან სწყინთ ნიუ-იორკის ქებაო (მეც ნიუ-იორკი იქ აღარ მიქია. არ ღირდა ამაზე ჩიკაგოელების მომდურება). თუმცა ჩიკაგოს სიდიდის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს ამერიკაში.

მაინც ყველაზე მეტად ჩიკაგოში დამახსოვდა მთავარი ქუჩის თავზე, მის გასწვრივ რკინიგზის უზარმაზარი აკვედუკი; ზედ გრიალით გაიქროლა ექსპრესმა „რაკეტამ", რომელიც საათში ორას კილომეტრ სისწრაფეს ავითარებს.

ვტოვებთ ჩიკაგოს...

ახლა რომ ამ ქალაქს ვიგონებ, თვალწინ გაიელვებს: მსოფლიოში ყველაზე დიდი სასტუმრო — „კონრად ჰილტონ", სადაც ჩვენ შევჩერდით...

უდიდესი შადრევანი კოლუმბის ხეივანში...

ცათამბჯენზე შვეულმფრენი...

ალუმინის, პლასტმასის, მინის სახლები...

რესტორანი „ცისფერი ანგელოზი"...

მიჩიგანის ტბა...

ჩიკაგოს აეროდრომი წარწერით: „ყველაზე დიდი და ყველაზე საქმიანი აეროდრომი მსოფლიოში".

თვითმფრინავი ბოსტონისკენ გაფრინდა. მფრინავმა მანქანა ნიაგარის თავზე დინჯად შემოატარა. გამოჩნდა დიდებული სანახაობა. განსაკუთრებით ლამაზია ნიაგარის ჩანჩქერი კანადის მხრიდან. აქედან იგი ზვიადია, გრანდიოზული.

ბოსტონი.

ამერიკის ერთი უძველესი, პირველი ქალაქთაგანი.

ძველებური ვიწრო ქუჩები, ძველებური სასტუმრო, ძველებური დგამი, ხის საწოლებსა და სკამ-მაგიდებზე ძველი ჩუქურთმები: ვარდ-ყვავილი, ხილი, ფრინველები და თევზები.

წარმოიდგინეთ, აქ დაისვენა თვალმაც და ყურმაც, თითქოს გულმაც და გონებამაც. საინტერესოა ეს ძველი ამერიკა. ამერიკის პირველი დასახლების ადგილები. ქალაქის ძველი ნაწილი... პირველი პარკი ამერიკაში...

ძველი ქალაქი ბოსტონი ახლაც შენდება. აქ შეგიძლიათ თქვათ, რომ ამერიკის შენება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ბოსტონის ქუჩები უკვე ხალხმრავალია. ფუტკარივით ირევა მეტწილად მოკლეშარვლიანი ქალი და კაცი. მოკლეშარვლიან ახალგაზრდობას არა უშავს რა, მაგრამ თქვენს მტერს მოხუცებულები, მით უმეტეს ქალები.

ბოსტონიდან ნიუ-იორკამდე რაღა მანძილია...

ერთი ფრთის მოსმა, და ჩვენ ისევ ნიუ-იორკში ვართ. ცოტა დროღა გვრჩება ამერიკაში, მაგრამ ზოგი საინტერესო შეხვედრა ისევ წინ არის.

ბანკეტზე მიგვიწვია ამერიკული კინომრეწველობის მეფემ სკურასმა. ეს ის სკურასია, რომელმაც დიდი შეხვედრა მოუწყო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. სკურასი სწორედ ამერიკაში ჩვენი გაფრენის წინ გახლდათ მოსკოვში, სადაც იმხანად კინოსურათების მსოფლიო ფესტივალი მიმდინარეობდა.

ამერიკული კინოსურათის დემონსტრაციის წინ დარბაზიდან სცენაზე მისალმებისათვის ავიდა ამერიკის გამოჩენილ კინოვარსკვლავთა ჯგუფი. ჯგუფს წინ კარგა ხანშიშესული, მაგრამ საკმაოდ კარგადაც შენახული ჯმუხი კაცი მიუძღოდა. იგი მარჯვედ ავიდა სცენაზე და დარბაზში მსხდომთ თავისი დელეგაციის სახელით მოგვესალმა. ორიოდე სიტყვა თქვა თავისი წარმოების სურათთა შესახებ.

ეს შემთხვევა ახლა ნიუ-იორკში გავახსენე სკურასს. მოსკოვში მან კინოფესტივალზე გვიჩვენა კარგი ფილმი „ანა ფრანკის დღიური".

ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა მაღალი, ატლეტური აღნაგობის ამერიკელი. შესახედავად იგი ძველ ფიზკულტურელს უფრო მოგაგონებდათ. მან ვრცლად ილაპარაკა მშვიდობისა და ჩვენი ორი დიდი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის საკითხებზე.

ეს გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლოჯი.

„ემპაირ სტეიტს ბილდინგ"... ნიუ-იორკის უმაღლესი შენობა. ზედ კიდევ რადიოსა და ტელევიზიის მაღალი კოშკი. ოთხმოცდამეორე სართულამდე ადიხართ ერთი ლიფტით, მერე უნდა მეორეში გადაჯდეთ, ლიფტი, ასე ვთქვათ, ორსაფეხურიანია, როგორც რაკეტა.

ემპაირიდან უმაღლესი ცათამბჯენებიც კი პატარა ყუთებივით ჩანან. აი, აგერ, მაგალითად, რადიოსიტის შენობა. ზემოდან ისე დაჰყურებ, როგორც თვითმფრინავიდან. ნამდვილად კარგი სანახავია ღამის ნიუ-იორკი ემპაირიდან: ანთებული სტრიტები და ავენიუები. ანთებული მილიონი ფანჯარა და რეკლამა.

ემპაირზე მშვენიერი სიგრილეა. ამოსულან წყვილები და აღარავის და აღარაფერს არ აქცევენ ყურადღებას.

ნაშუაღამევს უკანასკნელად გავიარეთ 42 სტრიტზე.

დიდი, კაპიტალისტური ქალაქის მეტად დამახასიათებელი სურათი: ახლად გვერდებშეჭყლეტილი ავტომანქანები.

იაფფასიან კაფეტერიასთან, სადაც სენდვიჩი თხუთმეტი ცენტი ღირს, ყველა ჯურის ნაძირალები... მთვრალი მორფინისტები და კოკაინისტები... დასტა-დასტა მეძავები... პორნოგრაფიული სურათების გამყიდველები... ბანდიტები და ავანტიურისტები...

მაგრამ ამერიკას ისინი ხომ არ წარმოადგენენ. ამერიკა არის ედგარ პო და ბიჩერ სტოუ, მარკ ტვენი და უოლტ უიტმენი, ჯეკ ლონდონი და თეოდორ დრაიზერი, ეპტონ სინკლერი და ერნესტ ჰემინგუეი, ლენგსტონ ჰიუზი და ჯონ რიდი.

ისევ „საბენა"... ოკეანე... განუწყვეტელი ფრენა.

ღამის თორმეტის ნახევარიც კი არ იყო, რომ აღმოსავლეთმა წითლად იელვა და ამერიკული შუაღამისას ბრიუსელში დაეშვა ჩვენი თვითმფრინავი.

**ირაკლი აბაშიძე.**

---

ნაწყვეტი მწერლის აშშ-ში მოგზაურობის ჩანაწერებიდან.

---

იოსებ ნონეშვილი

## თ ბ ი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გორგასალის ნაბიჯქვეშ
იდრიკებოდნენ გორები.
აქ ცას სწვდებოდნენ შრიალით,
დროშები დავითიანი,
ბრძოლებში ნაამბორები.

აქ რუსთაველი მღეროდა,
ჩვენი მზე, ჩვენი ჯავარი.
აქ ისნის ციხე-ბურჯიდან,
როცა სამშობლოს უჭირდა,
ლაშქარს უხმობდა თამარი.

აქ მტერს ცხენდაცხენ ხვდებოდა,
ხმალდახმალ ეგებებოდა
ერეკლე— ლომი ბებერი.
კაცი, ხმალკაცი, სამშობლოს
მახვილი ჩაუგებელი.

აქ ოცნებობდა აკაკი,
ჩვენი ხმატკბილი ბულბული.
აქ ბრძენ ილიას ესმოდა,
ნატვრად ქცეული ესოდენ,
ბორკილთა მსხვრევის გუგუნი...

დავლოცოთ დედა-თბილისი,
ოცნება დაუშრეტელი.

მთაწმინდის წმინდა ნათელი,
მისი ფირუზის კალთები
და ნარიყალას კედელი.

შავი კი არა მწვანეა
დღეს შავნაბადას ნაბადი.
თბილისი იქცა ბაღნარად.
დავლოცოთ მისი ჭადარა
და სიჭაბუკე მარადი.

მეც მინდა ლექსი, ეს ლექსი,
ჩემს მაგიდასთან კი არა,
განვაგრძო გარეთ, ქუჩებში,
რომ შუქნათელით უჩვევით
აივსოს სიტყვის ფიალა.

მტკვარმა ჩამიბას სტრიქონი,
მტკვარმა — ზვირთდაუშრეტელმა.
და ლექსს, გულში რომ გიზგიზებს,
მისცენ ფოლადის სიმტკიცე
მეღუღაბემ და მჭედელმა...

რომ დარჩეს ლექსი მარადჟამს,
ლაღი და უბერებელი,
როგორც ვაჟკაცთა საქმენი,
როგორც ეს ზეცა ნათელი,
როგორც ეს ლურჯი ქედები.

---

## უნაყოფოდ დახარჯული დრო, შრომა, ქაღალდი

ახლახან აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე ბროშურად გამოსცა „სოხუმის ვაგზლის მოწინავეთა გამოცდილება".

მკითხველები, მათ შორის პირველ რიგში რკინიგზელები, მოელოდნენ, რომ ამ ბროშურაში გაშუქებული იქნებოდა მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების საქმეში დანერგილი მეთოდები და სიახლე, რაც ერთგვარ დახმარებას გაუწევდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს.

მართალია, სოხუმის ვაგზლის კოლექტივმა შარშან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მგზავრთა მომსახურების საქმეში. ამიტომაც დაიმსახურა გზათა სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა. მაგრამ, სამწუხაროდ, წინამდებარე ბროშურაში დაუჯერებლად და მეტისმეტად ზერელედ არის მოცემული თუ რა გზებითა და მეთოდებით მიაღწიეს რკინიგზელებმა მუშაობის უკეთ წარმართვას.

თუ გადავფურცლავთ ამ ბროშურას (რომლის მოცულობაც ოთხიოდე ათეულ გვერდს აღემატება), მასში მუშაობის გამოცდილების მაგივრად ძირითადად ლაპარაკია იმ სამსახურეობრივ ფუნქციებზე, რომელთა შესრულებაც ევალებათ ვაგზლის მუშაკებს.

ბროშურაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი რკინიგზის სადგურ სოხუმის უფროსის ვ. ქორქიას წერილს — „სადგურ სოხუმის კოლექტივის ამოცანების შესახებ". ამ წერილში და ბროშურაში მოთავსებულ სხვა მასალებში, რომელთა დაბეჭდვა საერთოდ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა, მეტწილად ვაგზლის ხელმძღვანელობის ხოტბა-დიდებას ვკითხულობთ. ხოლო ვაგზლის უფროსის ვ. ბოკერიას წერილში ლაპარაკია აფხაზეთის კურორტებზე, მათ მნიშვნელობაზე, რასაც ამ ბროშურასთან არავითარი კავშირი არა აქვს. წერილში მშრალად ჩამოთვლილია მუშაობის ის მეთოდები, რაც ძირითადად დანერგილია და საყოველთაოდ ცნობილია რკინიგზაზე. ამ წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ რაც გაკეთებულია ვაგზლის კოლექტივის მიერ, თითქმის ყველაფრის მოთავე თვითონ ვაგზლის უფროსი ვ. ბოკერიაა.

ავიღოთ თუნდაც წერილის ერთი ადგილი:

„...მარტის თვეში ჩატარდა გაფართოებული საწარმოო თათბირი, რომელმაც განიხილა და მიიღო მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება, მათ შორის ვაგზლის უფროსის ამხ. ვ. დ. ბოკერიას წინადადება — ბაქანზე მოძრავი საბილეთო სალაროს შესახებ, რომელიც აუმჯობესებს მგზავრთა მომსახურებას; მისივე წინადადებით ცნობათა ბიუროში დადგმულია გაძლიერებული რადიორეპროდუქტორი"... და ა. შ.

საბილეთო სალაროების მუშაკების ტ. ხოშტარიას, ვ. ძიძიგურის, ვაგზლის უფროსის მორიგე თანაშემწის ა. წულეისკირის, ცნობათა ბიუროს აგენტის ო. მილენინას წერილებში ნაჩვენები არ არის, თუ რა დადებითი შედეგები და სარგებლობა მოაქვს მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების საქმეში დანერგილ სიახლეებს.

ბროშურა შედგენილია ნაჩქარევად, მასში ვხვდებით ორთოგრაფიულ და სტილისტურ შეცდომებს, ილუსტრირებულია ცუდად შერჩეული სურათებით.

განა სხვა საქმე არ ჰქონდა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობას? — სამართლიანად იკითხავს მკითხველი. ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა! აქ ყველაფერი რიგზე როდია საჭირო ლიტერატურის გამოსაცემად. აღნიშნული ბროშურის გამოცემა იმის სანიმუშო მაგალითია, რომ ხშირად ჩვენი გამომცემლობები ყოვლად უნაყოფო და უსარგებლო საქმეზე ხარჯავენ ძვირფას დროს, შრომას და ქაღალდს.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

## არ ჩანს ფოსტალიონი

წერილების მიმოხილვა

წიგნი, ჟურნალი, გაზეთი ფართოდ შეიჭრა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. დღეს წერა-კითხვის მცოდნე კაცს ვერც წარმოუდგენია უჟურნალგაზეთოდ ცხოვრება, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარს ახლა ჩვენს ქვეყანაში ვერ იპოვნით.

გაზეთი და ჟურნალი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. გაზეთის საშუალებით ვიგებთ ქვეყნის ახალ ამბებს, ვუზიარებთ ერთმანეთს ფიქრებსა და აზრებს, მუშაობის გამოცდილებას, ვეცნობით ერთმანეთის სასახელო საქმეებს, თვალყურს ვადევნებთ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევებს და ა. შ. ყოველივე ეს გვეხმარება, რომ ფეხი ავუწყოთ ქვეყნის მძლავრ მაჯისცემას, არ ჩამოვრჩეთ ცხოვრებას. ამიტომ ველით ასე მოუთმენლად ფოსტალიონის გამოჩენას, ამიტომ ზოგჯერ დილაუთენია ვდგავართ რიგში ჟურნალ-გაზეთების კიოსკთან. გაზეთისა და ჟურნალის წასაკითხავად დაჯდომა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების, გონებრივი გართობისა და დასვენების საუკეთესო წუთებია. და შეუძლებელია არ გავნაწყენდეთ, საყვედური და გულისწყრომა არ გამოვთქვათ იმათ მიმართ, ვინც ამ ძვირფას წუთებს გვართმევს, ვინც ხელს გვიშლის ყური დავუგდოთ ქვეყნის მძლავრ მაჯისცემას და მუდამ ჩვენი დიადი ცხოვრების ფერხულში ვიყოთ.

სამწუხაროდ, ასეთი საყვედურისა და გულისწყრომის წერილები მრავლად მოდის რედაქციაში. მკითხველები უჩივიან კავშირგაბმულობის ორგანიზაციებსა და ადგილობრივ საფოსტო განყოფილებებს, რომლებიც დროზე არ აწვდიან ხელისმომწერლებს ჟურნალ-გაზეთებს.

**სოფელ ერეთისკარის** (ლაგოდეხის რაიონი) საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგეს **გიორგი ჩითანიშვილს** უყვარს კითხვა, ამიტომ 1960 წლისათვის მან დროულად გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის გაზეთები — „კომუნისტი", „ლელო", „გამარჯვების დროშა" (რაიონული გაზეთი), ჟურნალები — „კლინიკური მედიცინა", „ფერშალ-აკუშერკა". მაგრამ 18 იანვრისათვის აღნიშნული გაზეთებისა და ჟურნალების ერთი ნომერიც არ ჰქონდა მიღებული. ამის შესახებ მან არაერთხელ მიმართა როგორც სასოფლო, ისე რაიონულ საფოსტო განყოფილებებს, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია მის თხოვნასა და საჩივარს. მაშინ გ. ჩითანიშვილი იძულებული გახდა ჩვენი გაზეთის რედაქციისათვის ეთხოვა დახმარება. ვასრულებთ მის თხოვნას და ლაგოდეხის რაიონულ საფოსტო განყოფილების მუშაკებს მოვაგონებთ თავიანთ მოვალეობას, რომ მკითხველებისათვის ჟურნალ-გაზეთების დროულად მიწოდება უბრალო და აბუჩად ასაგდები საქმე არ არის, ამ მხრივ მათ მეტი პასუხისმგებლობა და გულისხმიერება მართებთ.

ჟურნალ-გაზეთებს ბევრი ხელისმომწერი ჰყავს **სოფელ გომში** (ხაშურის რაიონი). კოლმეურნეებს აინტერესებთ ქვეყნის ახალი ამბები. მაგრამ ვინ იცის რა ძვირად უღირთ მათ გაზეთისა თუ ჟურნალის თვითეული ნომრის მოპოვება. ამისათვის ყოველმა ხელისმომწერმა რამდენიმე კილომეტრი უნდა გაიაროს სოფლის საფოსტო განყოფილებამდე. საქმე ის არის, რომ სოფელს ფოსტალიონი არა ჰყავს და ხელისმომწერლები იძულებული გახდნენ „თვითმომსახურებაზე" გადასულიყვნენ. „ამასაც ავიტანდით, — გვწერს ამ სოფლის მკვიდრი **სულიკო ხეთაგური,** — რომ ჟურნალ-გაზეთების ნომრებსაც არ გვაკლებდნენ, რომ დეპეშებსა და წერილებს მაინც დროზე ვიღებდეთ. ასეთი მდგომარეობა კი უკვე მეორე წელია გრძელდება. ამის შესახებ ხაშურის რაიონულ გაზეთშიც დაიბეჭდა, მაგრამ გაზეთის სიგნალს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მშრომელები ეკითხებიან სოფლის მესვეურებს — როდის ეყოლება სოფელს ფოსტის დამტარებელი?"

როგორც **სოფელ ნაგომრიდან** (მახარაძის რაიონი) გვწერენ, ერთი ხანია არც აქა ჰყავთ ფოსტალიონი. პირველი იანვრიდან მოსახლეობა არ იღებს ჟურნალ-გაზეთებსა და საფოსტო გზავნილებს. კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ არაერთხელ დააყენეს საკითხი სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე ფოსტალიონის გამოყოფის შესახებ, მაგრამ მათს თხოვნას ყური არავინ ათხოვა, ასე დარჩა სოფელი ნაგომარი უჟურნალგაზეთოდ.

**სოფელი სიქთარვა** ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილია თერჯოლის რაიონში. სოფელს აქვს კარგი კლუბი და ბიბლიოთეკა, სკოლა, საავადმყოფო, ორი კოოპერაციული სავაჭრო, ღვინისა და ყურძნის მიმღები პუნქტი. სიქთარვაში 600 კომლზე მეტია, კოლმეურნეებთან ერთად ბევრია მუშა-მოსამსახურე. გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხია სიქთარველები. ისინი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ახალ ამბებს, მათ სურთ იცოდნენ, საქმის კურსში იყვნენ, რა ახალ ამოცანებს უსახავს მათ ხვალინდელი დღე. სამწუხაროდ, მათ არ ეხმარება და დაბრკოლებას უქმნის რაიონის კავშირგაბმულობა.

— რაიონის ცენტრს ეს სოფელი დიდად არ არის დაშორებული, გზაც კარგია, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებსა და კორესპონდენციებს მოსახლეობა სისტემატურად დაგვიანებით იღებს, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, — ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა რედაქციას სოფელ სიქთარვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორმა ვ. **ნემსიწვერიძემ.** როგორც პერსონალური პენსიონერის **გ. დოლენჯაშვილის** კორესპონდენციაშია აღნიშნული, **გურჯაანის** კავშირგაბმულობის კანტორა დაგვიანებით იღებს ფოსტას თბილისიდან, რის გამო ხელისმომწერლები მხოლოდ მეორე დღეს საღამოთი იღებენ ჟურნალ-გაზეთებს.

ჟურნალ-გაზეთების დაგვიანებით მიღების გამო მშრომელთა უკმაყოფილებაა გამოთქმული **რ. ტოფაძისა და ს. დანილოვის** კორესპონდენციებში, რომლებიც მათ სოფელ **ტყაჩირიდან** (წყალტუბოს რაიონი) და სოფელ **გუმბათიდან** (წალკის რაიონი) გამოუგზავნეს რედაქციას.

„სოიუზპეჩატისა" და კავშირგაბმულობის ადგილობრივმა ორგანოებმა მეტი ყურადღება და გულისხმიერება უნდა გამოიჩინონ ხელისმომწერლებისადმი, რათა ისინი დროზე იღებდნენ ჟურნალ-გაზეთებს. ეს უბრალო საქმე არ არის. წიგნი, ჟურნალი და გაზეთი ჩვენს დროში პირველი მოხმარების საგნად იქცა და მათი დროულად მიწოდებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მშრომელები არავის არ აპატიებენ.



**მეჯვრისხეველი პაპა!**

ფოტოეტიუდი ს. ონანოვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

---

## 8.000 საათი წყალქვეშ

**სუსხიან** ზამთარშიც არ წყდება მუშაობა ვოლგის ყინულის ქვეშ. ამ დღეებში სტალინგრადელი მყვინთავები ქალაქ ვოლჟსკის ახლოს აშენებენ წყალსადენ ნაგებობებს ქიმიური კომბინატისათვის, რომელიც იქ შენდება.

წყალქვეშა ოსტატებს შორის წყალსადენის წყობაზე შრომობს პავლე კობილკინიც.

პირველად მან სკაფანდრი ჩაიცვა მაშინ, როცა სტალინგრადის ბრძოლა იყო გაჩაღებული. ვოლგაზე მუშაობა მაშინ იოლი როდი იყო: საჭირო იყო ჩაძირული ხომალდების, პონტონების ამოღება, ფსკერიდან საბრძოლო მასალების ამოკრეფა.

განვლილ თვრამეტ წელიწადში მყვინთავმა წყალქვეშ გაატარა 8.000 საათი — თითქმის მთელი წელიწადი.

ჩვენს მშვიდობიან დღეებში სტალინგრადელ მყვინთავებს ნამდვილად საგმირო საქმეების შესრულება უხდებათ.

ორი წლის წინათ მეტალურგიული ქარხნის „კრასნი ოქტიაბრის" რაიონში ვოლგის ფსკერზე აღმოაჩინეს ჩაძირული სასანგრო პონტონი ნაღმების დიდი ტვირთით. ათ დღეღამეზე მეტ ხანს წარმოებდა საშიში მუშაობა. ფეთქებადი ნივთიერება და საომარი მასალები მშვიდობით გამოიტანეს ნაპირზე და უვნებელყვეს. ნაღმები კი მომართული იყო და მათი აფეთქება ყოველ წუთს შეიძლებოდა.

ერთხელ წყალქვეშა სამუშაოთა სტალინგრადის სამმართველოში მიიღეს ცნობა გემ „ერმაკის" დაღუპვის შესახებ. ჩაძირული გემის ადგილას სასწრაფოდ გაფრინდა ბრიგადა. მყვინთავები ჩქარობდნენ. ყოველი წუთი ძვირფასი იყო. იქ, ფსკერზე, ხომალდის ტრიუმში დარჩენილი იყო ცოცხალი ადამიანი — „ერმაკის" კაპიტანი. გემის დაღუპვის დროს იგი სამანქანო განყოფილებაში აღმოჩნდა და ჰაერის ბალიშმა გადაარჩინა. 14 საათს წარმოებდა ბრძოლა ადამიანის გადასარჩენად. და კაპიტანი, რომელიც ბევრს უკვე დაღუპულად მიაჩნდა, გადაარჩინეს.

**ი. მიშაკინი.**

სტალინგრადი.
(„ლიტერატურა ი ჟიზნ".)



# თეთრი ოლიმპიადა

**სკვო ველი,** (კალიფორნია, ამერიკის შეერთებული შტატები), 20 თებერვალი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. ოზეროვი იუწყება:

19 თებერვალს დილით მაკინი-კრიკში გაყვანილ სათხილამურო ტრასებზე მიმდინარეობდა სათხილამურო ბრძოლა ვაჟებისათვის 30 კილომეტრზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 16 ქვეყნის 48 სპორტსმენი.

ასპარეზობა მიმდინარეობდა საკმაოდ ძნელ პირობებში: გუშინ მოსულმა თოვლმა გავლენა მოახდინა სათხილამურო ტრასების მდგომარეობაზე. ამიტომ შეჯიბრების შედეგები შედარებით არ არის მაღალი. პირველი ადგილი დაიკავა სიქსტენ ერენბერგმა (შვეცია). მან ეს დისტანცია გაიარა 1 საათში, 51 წუთსა და 3,9 წამში. 13 წამით ჩამორჩა მას შვედი სპორტსმენი როლფ რემგორდი, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. მესამე ადგილი დაიკავა საბჭოთა მოთხილამურე ნიკოლოზ ანიკინმა, რომლის შედეგია 1 საათი, 52 წუთი და 28,2 წამი. მეოთხე შედეგი ეკუთვნის გენადი ვაგანოვს (სსრ კავშირი), რომელიც 21 წამით ჩამორჩა ანიკინს. მეხუთე ადგილზე გამოვიდა შვეციის გუნდის მესამე მონაწილე ლენარტ ლარსონი — 1 საათი, 53 წუთი და 53,2 წამი.

წარსული ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი ფინელი სპორტსმენი ვეიკო ჰაკულინენი მოვიდა მეექვსე. მისი შედეგია 1 საათი, 54 წუთი და 2 წამი.

ალექსი კუზნეცოვმა და ანატოლ შელიუხინმა დაიკავეს შესაბამისად მერვე და მეთხუთმეტე ადგილები.

ოლიმპიურ ჩემპიონთა წოდება წყვილთა ფიგურულ ციგურაობაში მოიპოვეს კანადელმა სპორტსმენებმა ბარბარა ვაგნერმა და რობერტ პოულმა, რომლებიც სამგზის მსოფლიო ჩემპიონები არიან. ევროპის კონტინენტის ორგზის ჩემპიონებმა მარიკა კილიუსმა და ჰანს იურგენ ბოიმლერმა (დასავლეთ გერმანია) მოიპოვეს ვერცხლის მედლები, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონებმა ნენსი და რონალდ ლადინგტონებმა — მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 13 წყვილი — შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები.

შეჯამებულია საბოლოო შედეგები მოციგურავეთა მეორე წინასწარი შესარჩევი შეჯიბრებისა, რომელიც გუშინ მიმდინარეობდა.

500 მეტრ დისტანციაზე რბენაში საუკეთესო დრო აჩვენა ი. მალიშევმა (სსრ კავშირი) — 40,5 წამი, რაც მხოლოდ 0,3 წამით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს, რომელიც ე. გრიშინს ეკუთვნის. მეორე ადგილზეა ამერიკელი უ. კეროუ, რომელმაც 41,4 წამი აჩვენა. ფრანგ რ. გიიოზს აქვს დღის მესამე დრო — 41,7 წამი (საფრანგეთის ახალი ეროვნული რეკორდი). მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორს ა. კუპრიანოვს (საფრანგეთი) უკავია მეოთხე ადგილი. მისი დროა 42,5 წამი.

1.500 მეტრზე ციგურაობაში (საბჭოთა მოციგურავეები არ იღებდნენ მონაწილეობას) პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს ა. კუპრიანოვმა და რ. გიიოზმა, რომლებმაც აჩვენეს ერთნაირი დრო — 2 წუთი და 13,7 წამი. შემდეგი ადგილები უკავიათ: გ. შტრუტცს (ავსტრია) — 2 წუთი და 15,3 წამი, კ. სტილეს (დანია) — 2 წუთი და 16,0 წამი, რ. გიოსს — 2 წუთი და 18,3 წამი, რ. დე რივას (ორივე იტალიიდან) — 2 წუთი და 18,3 წამი.

## სკვო ველის ასპარეზობათა ქრონიკა

⊙ 19 თებერვალს გარდა ფიგურული ციგურაობისა და სათხილამურო გადარბენისა მოეწყო წინასწარი შეხვედრები ჰოკეიში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხოსლოვაკიის, კანადისა და შვეციის და სსრ კავშირისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ამერიკის, კანადის და საბჭოთა ჰოკეისტებმა 7:5, 5:2 და 8:0. ცუდი ამინდის გამო შეჯიბრება სწრაფდაშვებაში ვაჟთათვის გადაიდო 22 თებერვლისათვის.

⊙ დღეს გაიმართება ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული მორიგი შეხვედრები. დილის 8 საათზე (მოსკოვის დროით 19 საათი) დაიწყება შეჯიბრება ზამთრის ორჭიდში (სათხილამურო გადარბენა 20 კილომეტრზე სროლით) და ქალთა ფიგურული ციგურაობა (სავალდებულო პროგრამა). შემდეგ გაიმართება შეხვედრები ციგურაობაში ქალთათვის 1.500 მეტრზე, შეჯიბრება ვაჟთათვის სლალომ-გიგანტში, ტრამპლინიდან ხტომაში ორჭიდელთათვის და ჰოკეიში.



— მ ... ფრინველთა - ... ზღვის სანაპირო ... ახლა ზაფხული ... ამინდი დგას, აქ ყოველდღიურად ათასობით დამსვენებელი ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ... ლამაზი პეიზაჟებით.

დიდი გამოცოცხლებაა სოხუმის ტურისტულ ბაზაში, ზამთრის საგზურებით ახლა აქ ასზე მეტი კაცი ისვენებს.

თქვენ ამ სურათზე ხედავთ ესტონელ მუშას ნ. მუხორტოვას (მარცხნიდან), ბერეზნიკელ ვ. ივანოვს, სვერდლოვსკელ ტექნიკოსს ვ. პომერანცევს, ესტონელ მრთველს ვ. ჩოგპურინას.

ფოტო გ. ტოლმაჩევისა.

# ტაშს უკრავენ ქართველ მსახიობებს

ქართული ცირკის მსახიობთა კოლექტივი პირველად გამოდის ბელორუსიის დედაქალაქში დიდი პროგრამით. და თუმცა მთლიანად მათს ხელოვნებაში თავშეკავებულად მჟღავნდება სპეციფიკური თავისებურებანი ეროვნული ცირკისა, რამდენადაც მან, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების ცირკებმაც, შეითვისეს ყოველივე საუკეთესო, რაც კი გამოუმუშავებია მძლავრ რუსულ საცირკო სკოლას, სტუმრები ცალკეულ ნომრებში უნარიანად გადმოგვცემენ მზიური საქართველოს მომხიბვლელობას, თავიანთი ხალხის გულის სითბოს, ხალისსა და უჭკნობ ოპტიმიზმს. ძაღლების თითქოს „ტრადიციულ" წვრთნას რსფსრ დამსახურებული არტისტი ცხომელიძე ისეთი არტისტიზმით წარმოგვიდგენს, იმდენია მასში უშუალო იუმორი და ისე გვიხატავს ადამიანის განცდებს, რომელსაც თავისი პატარა სახედარი დაუკარგავს, რომ მთლიანად ამ ნომერს მაყურებელი იღებს როგორც სახუმარო ეროვნულ პანტომიმას, რომელიც გვხიბლავს თავისი მკაფიო გამომსახველობით.

მარჯვედ შექქვთ ეროვნული ელემენტი ორმაგ მავთულზე გამოსვლაში მსახიობებს ლიუდმილა და მიხეილ ლალაშვილებს. მუშაობის რიტმი, მანერა და მაყურებლის წინაშე თავის დაჭერა დამაჯერებლად გადმოსცემს ამ ტექნიკურად ძნელი და კარგად დადგმული ნომრის შემსრულებელთა ხასიათს.

პროგრამაში წარმოდგენილია კიდევ ერთი ფრიად იშვიათი გამოსვლა. მართალია, „ორიგინალური ჟანრი" მსახიობ დადეშქელიანის შესრულებაში არ გამოხატავს ქართული ხელოვნების დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ მსახიობის უნიკალური და, შეიძლება ითქვას, რეკორდული უნარი ფეხებით ისეთ მოძრაობათა შესრულებისა, რომელთა შესრულება მხოლოდ ხელებით შეიძლება, მაყურებელთა საკმაო გაკვირვებას იწვევს. უნდა ითქვას, რომ მსახიობი ზრუნავს იმისათვის, რომ შესრულება თავისუფალი, დაუძაბავი იყოს და ეს მას შესაძლებლობას აძლევს თავიდან აიცილოს ანტიესთეტიკურობის საშიშროება ასეთი თავისებური ხელოვნების ჩვენებისას.

უაღრესად ნატიფია სწრაფი და გაბედული გაფრენა რაკეტით მსახიობების მაცაბერიძეებისა. ასეთი ნომრები პირველად როდი უნახავთ მინსკში, მაგრამ მსახიობების საშემსრულებლო ოსტატობისა და გაფორმების სილამაზის მეოხებით ეს გამოსვლა მეტად ხელსაყრელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ძალოსანი აკრობატები მანეჟზე მჭედლიშვილები, ისევე როგორც მათი ამხანაგები ცირკის გუმბათქვეშ, განირჩევიან მუშაობის დახვეწილობითა და მაღალი კულტურით. დიდი ვარჯიშის შედეგად აკრობატიკის ოსტატები სრულიად ძალდაუტანებლად ასრულებენ უაღრესად რთულ ნომრებს.

უკვე დასახელებულ წყვილებსა და ჯგუფებს გარდა აქ არიან საჰაერო გიმნასტები ფერაძეები ნომრის თავიანთი ეფექტური დაბოლოებით, შესანიშნავი აკრობატები ბატუდზე გაბედაშვილები, ძელზე მომუშავე ნიჭიერი მსახიობების ალდგომელაშვილების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ორი მსახიობი ქალი გვიჩვენებს იშვიათ ოსტატობას ასეთ ძნელ იარაღზე ვარჯიშში, ლამაზი აკრობატული ეტიუდი გარსევანიშვილის შესრულებით და სხვა ნომრები.

ვფიქრობ, რომ მაყურებლებს უნდა მოსწონდეთ თავისუფალი მუშაობა მანეჟზე სანდრო თედიაშვილისა (ცინტო) და მისი პარტნიორის თევდორე ლიბინისა. ქართველი ხუმარას მიერ შექმნილი უბრალო, რამდენადმე გულუბრყვილო სახე მაყურებელთა სიმპათიას იწვევს.

როგორც წინა პროგრამებში, შეთანხმებულად ჟღერს და ნიჭიერად ეხმარება წარმოდგენას მინსკის ცირკის ორკესტრი ბ. რაისკის ხელმძღვანელობით.

ქართული ცირკის შესანიშნავ მსახიობთა გასტროლები მინსკში პასუხია ბელორუსიის საცირკო კოლექტივის გამოსვლებზე თბილისში. ეროვნული საცირკო პროგრამების ეს გაცვლა დასაწყისია კარგი ტრადიციისა, რომელიც, იმედი გვაქვს, შემდგომ წლებში განმტკიცდება და კიდევ უფრო მჭიდროს გახდის ორი მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა მეგობრობას.

**Ი. ᲢᲐᲠᲐᲜᲘ.**

„სოვეტსკაია ბელორუსია".





# საბჭოთა დელეგაცია ამერიკაში

**ნიუ-იორკი,** 19 თებერვალი. საქდესის კორესპონდენტი ვ. ბოგაჩოვი გადმოგვცემს: სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა დელეგაციის მოგზაურობა შეერთებულ შტატებში დასასრულს უახლოვდება. გუშინ საბჭოთა კავშირის ვაშინგტონის საელჩოში გაიმართა დელეგაციის მეთაურის დ. ს. პოლიანსკის პრესკონფერენცია, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 150 ჟურნალისტი.

თქვენს დიდ, საინტერესო და სტუმართმოყვარე ქვეყანაში სამ კვირას ყოფნის დროს, განაცხადა მან, ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ ბევრ ამერიკელს, და ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ საბჭოთა ადამიანების მეგობრული გრძნობები ამერიკელი ხალხისადმი სავსებით თანაზიარია.

ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ, ბევრი რამ შევიტყეთ. და მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ ამერიკელებს, ისე როგორც საბჭოთა ადამიანებს, სურთ იცხოვრონ მშვიდობით ყველა ხალხთან, რომ მათაც მობეზრდათ „ცივი ომი". ჩვენი დროის მთავარ საკითხზე, მშვიდობის საკითხზე ამრიგად ჩვენ გვაქვს საიმედო საფუძველი გულწრფელი და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

ის დრო, რომელიც გავიდა საბჭოთა კავშირში გასულ ზაფხულს ამერიკელ გუბერნატორთა მოგზაურობასა და შეერთებულ შტატებში ჩვენი ჯგუფის საპასუხო მოგზაურობას შორის, დიდი მოვლენების პერიოდი იყო საერთაშორისო ცხოვრებაში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში.

ამ ამბავთა შორის მთავარი იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი შეხვედრა და საუბრები პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან. სადაც უნდა ვყოფილიყავით თქვენს ქვეყანაში, ვისაც უნდა შევხვედროდით და ვისთანაც უნდა გვესაუბრნა, ყველგან ვგრძნობდით იმ ახალ ხელსაყრელ ატმოსფეროს, რომელიც შექმნა ჩვენი ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურების პირადმა კონტაქტმა.

მიმდინარე წლის ივნისში მოხდება ბატონ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის საპასუხო ვიზიტი საბჭოთა კავშირში. მას საბჭოთა ხალხი მიიღებს როგორც სასურველ სტუმარს. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში ნდობის შექმნის კეთილშობილური საქმე წარმატებით გაგრძელდება მოსკოვში.

დ. ს. პოლიანსკიმ დაწვრილებით ილაპარაკა სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემებზე. დროა შევიგნოთ, ამბობს იგი, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა გამონაგონი, პროპაგანდის ოსტატების ცბიერული ხერხი როდია. ეს არის რეალური ფაქტი, რომელიც ასახავს მსოფლიოში ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის არსებობას. მათ შორის წარმოებს შეჯიბრება ეკონომიურ სარბიელზე, წარმოებს იდეოლოგიური ბრძოლა. ეს პროცესები ბუნებრივი და გარდუვალია.

მთავარი რამ, რაც დღეს დასახულია კაცობრიობის წინაშე, არის იმ მეთოდების განსაზღვრა, რომელთა დახმარებით გადაიჭრება ამა თუ იმ სისტემის უპირატესობის, იმ საშუალებათა არჩევის საკითხი, რომელთა დახმარებით გამოირკვევა ერთ-ერთი ამ სისტემის გამარჯვება. არის მხოლოდ ორი გზა — მშვიდობიანი შეჯიბრება ან შეიარაღებული შეტაკება, ომი მოსპობისა და ნგრევის იმ საშინელ საშუალებათა გამოყენებით, რომლებიც კაცმა შექმნა. მესამე გზა არ არსებობს.

ჩვენ, კომუნისტებს, მიგვაჩნია, რომ ამა თუ იმ სისტემის უპირატესობის საკითხი შეიძლება და უნდა გადაიჭრას მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებით.

დ. ს. პოლიანსკი ცხადყოფს განიარაღების შესახებ საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ ღონისძიებათა აზრს. საბჭოთა კავშირი განიარაღებისადმი თავის მისწრაფებას, განაგრძო მან, ამტკიცებს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. დარწმუნებული ვართ, რომ ასე უნდა მოიქცეს ყოველი სხვა სახელმწიფოც.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის წარმატებას მეცნიერებისა და ეკონომიკის დარგში, დ. ს. პოლიანსკიმ განაცხადა: დღეს შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირზე უფრო მდიდარი არიან. მაგრამ ხვალ ჩვენ ისეთივე მდიდარი ვიქნებით, ხოლო ზეგ გაგისწრებთ. ჩვენი რწმენა ემყარება ფაქტებს, იმ უდიდესი რესურსებისა და შესაძლებლობის ფხიზელ შეფასებას, რომლებსაც სოციალისტური წყობილება შეიცავს.

დელეგაციის ყველა წევრის სახელით დ. ს. პოლიანსკი უაღრესად მხურვალე მადლობას უძღვნის ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებმაც საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების ყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაყოფიერი და სასიამოვნო გახადეს. დ. ს. პოლიანსკი თავის გამოსვლას ამთავრებს სიტყვებით: ვუსურვებთ ბედნიერებასა და მშვიდობას ამერიკელ ხალხს!

შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა უპასუხა კორესპონდენტთა მრავალ კითხვაზე.

საღამოს სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვმა დიდი დარბაზობა მოაწყო საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებშია. დარბაზობაზე იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი ფ. მიულერი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ე. ბენსონი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე დ. დილონი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლ. მერჩენტი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ე. უორენი, ამერიკელი სენატორები, კონგრესმენები, მთელი რიგი ქვეყნების ელჩები, რომლებიც აკრედიტებული არიან ვაშინგტონში, თვალსაჩინო მრეწველი და საზოგადო მოღვაწე ს. იტონი მეუღლითურთ, ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დარბაზობამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დღეს დილაადრიან საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების დელეგაცია მატარებლით ჩამოვიდა ნიუ-იორკში.

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ნ. როკფელერმა საბჭოთა დელეგაციის მეთაური საუზმეზე მიიწვია. მათ შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რამაც 1 საათსა და 20 წუთს გასტანა.

დღეს საბჭოთა სტუმრებმა ინახულეს ნიუ-იორკის ბირჟა.

## ფიდელ კასტროს განცხადება

**ნიუ-იორკი,** 19 თებერვალი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება, კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ 18 თებერვალს საღამოს განაცხადა, რომ თვითმფრინავი, რომელსაც ბაზა ჰქონდა ფლორიდაში (ამერიკის შეერთებული შტატები) და რომელსაც მართავდა ორი ამერიკელი, აფეთქდა და ჩამოვარდა, როცა ცდილობდა დაებომბა შაქრის ქარხანა, რომელიც მდებარეობს 100 მილზე ჰავანის აღმოსავლეთით.

კუბის თანამდებობის პირებმა განაცხადეს, რომ ორივე მფრინავი დაიღუპა.

კასტრომ სიტყვა წარმოთქვა რადიოთი და ტელევიზიით. მან განაცხადა: ამ თვითმფრინავში ნაპოვნი დოკუმენტები მოწმობენ, რომ თვითმფრინავებს, რომლებიც კუბის ტერიტორიაზე იჭრებიან, ბაზა აქვთ ფლორიდის ორ პუნქტში.

## ამერიკული თანამგზავრის წარუმატებლობა

**ნიუ-იორკი,** 20 თებერვალი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) ავიაბაზიდან გადმოცემულ ცნობაში დაწვრილებით აღწერს ხელოვნური თანამგზავრის „დისკავერერ — 10" მატარებელი რაკეტის კატასტროფას, რომელიც გუშინ გაშვებიდან 60 წამის შემდეგ აფეთქდა მიწისზედა კონტროლმა იმის გამო, რომ იგი ნავარაუდევი კურსიდან გადაიხარა.

ცნობაში აღნიშნულია, რომ რაკეტა ასე საჩქაროდ იმიტომ ააფეთქეს, რომ იგი მიფრინავდა სანაპირო დასახლებული პუნქტების მხარეს, რომლებიც გაშვების ადგილიდან 20-30 მილზე მდებარეობენ.

ბაზის პერსონალი, აგრეთვე კორესპონდენტები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გაშვებას, წერს კორესპონდენტი, იძულებული იყვნენ საჩქაროდ თავი შეეფარებინათ რაკეტის აფეთქების შემდეგ, რათა არ დაზიანებულიყვნენ ჩამოვარდნილი ნამსხვრევებით. რაკეტის ბევრი ნამსხვრევი, რომელთაგან ზოგიერთი მსუბუქი ავტომანქანის ზომისა იყო, გაშვების რაიონში დავარდა.

ბონი ახლა ევროპაში დაძაბულობის შენელების მთავარი დამაბრკოლებელი გახდა, და თავის ამ რეპუტაციას მთლიანად ადენაუერს უნდა უმადლოდეს. (გაზეთებიდან).





**დაბრკოლება მშვიდობის გზაზე**

ნახატი გ. ლომიძისა.

## სცენაზე არიან ფეიქრები

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). ათობით ფეიქარია გაერთიანებული აბრეშუმკომბინატის თვითმოქმედ დრამატულ კოლექტივში, რომელსაც დ. ბერიძე ხელმძღვანელობს.

ამ დღეებში კომბინატის მუშათა კლუბის სცენაზე მაყურებელს უჩვენეს ვ. კანდელაკის პიესა „ამაღლებული სოფელი", რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. თვითმოქმედმა კოლექტივმა ეს სპექტაკლი დადგა აგრეთვე ფილარმონიის საზამთრო თეატრში.

სპექტაკლში მონაწილეობენ მქსელავი მ. ბერიძე, მქსოველი ჟ. პაპიევი, გამხამებელი ე. ბერიძე, აგრეთვე მოწინავე ფეიქრები უ. ჩხეიძე, ი. კუბლაშვილი, გ. გიორგაძე და სხვები.

## „დროშა" № 2

უკვე გამოვიდა და ხელისმომწერლებს ურიგდებათ ჟურნალ „დროშის" მეორე, თებერვლის ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შესახებ.

მკითხველები ამ ნომერში საინტერესო მოთხრობებსა და ნარკვევებს წაიკითხავენ. ჟურნალი აქვეყნებს მერაბ მელითაურის, კოტე ჯავრიშვილის, გივი გეგეჭკორის, რამაზ კობიძის ნარკვევებს, დიდი რუსი მწერლის ანტონ ჩეხოვის იუმორისტულ მოთხრობას „ხელოვნების ქმნილება" და მერაბ ელიოზიშვილის „მოლოდინს". ჟურნალი ბეჭდავს აგრეთვე სხვა საინტერესო მასალებსა და ცნობებს.

## მეზღვაურთა მამაცობა



საოკეანო ტანკერი „ფოთი", რომელიც მზიური კოლხიდის ზღვისპირა ქალაქის სახელს ატარებს, ოდესის ნავსადგურის მუდმივი ბინადარია. აქედან იღებს ტანკერი კურსს ყოველ მორიგ რეისზე, უშიშრად მიიკვლევს გზას შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში საყვარელი სამშობლოს მიერ მინდობილ პასუხსაგებ დავალებათა შესასრულებლად, მამაცური მოქმედებით სახელს იხვეჭს მთელ სავაჭრო ფლოტში.

ტანკერის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ეკიპაჟმა, რომლის კაპიტანია ნაცადი მეზღვაური კ. ტრეტიაკოვი, გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლედის პირველი წლის გეგმა და სამშობლოს რამდენიმე ასეული ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა.

არა მარტო შავ ზღვაზე, არამედ სხვაგანაც ბევრს სმენია იმ მამაცობის ამბავი, რომელიც ტანკერის ეკიპაჟს მრავალგზის გამოუჩენია შორეულ რეისებში ყოფნისას. ერთ-ერთი ასეთი ფურცელი შეემატა მის ისტორიას ამას წინათ, როცა იგი შვეციის ნაპირებისაკენ მიემართებოდა. აი როგორ აგვიწერს ამ ამბავს ოდესელი მეზღვაური პ. ვოლოშინი.

„როცა ტანკერი უახლოვდებოდა ბისკაის უბეს, რომელსაც ყველა ქვეყნის მეზღვაურები „ხომალდების სასაფლაოს" უწოდებენ, მიღებულ იქნა რადიოგრამა გრიგალის მოახლოების შესახებ. ყველა გემის ეკიპაჟს აფრთხილებდნენ თავი შეეფარებინათ ნავსადგურებში. მაგრამ „ფოთის" ეკიპაჟმა, სჯეროდა რა თავისი ძალებისა და შესანიშნავი საბჭოთა ტექნიკისა, გადაწყვიტა განეგრძო რეისი.

გრიგალი გაუგონარი ძალით ამოვარდა და რწევა დაუწყო ტანკერს. გოლიათური ტალღების დაუსრულებელი დარტყმებით გემი დაზიანდა. მაშინ ბოცმანი ა. ზადოროჟნი, ელექტრიკოსი გ. მიხაილოვი, უფროსი მოტორისტი ა. სამკოვი და მეზღვაური ი. შმიგელსკი გადაეშვნენ ზღვაში დაზიანებული ნაწილების შესაკეთებლად. 10 საათზე მეტ ხანს უჩვეულო განსაცდელში მყოფმა ოთხეულმა საარაკო მამაცობა გამოიჩინა და დავალება ბრწყინვალედ შესრულა.

ბოლოს ქარიშხლის სიძლიერე 12 ბალამდე ავიდა. საზღვარგარეთის რამდენიმე ხომალდი შთაინთქა ზღვაში, ხოლო ტანკერი „ფოთი" გამარჯვებული გამოვიდა მრისხანე სტიქიასთან ბრძოლში.

**Ქ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.**

* * *

სურათზე: ტანკერი „ფოთი".

ფოტო ვ. ჯაფარიძისა.

## ფხიზელი თვალით

იგი სულდის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კანტორიდან გამოვიდა, დათოვლილი სოფელი ნისლში იყო გახვეული. როგორც ყოველთვის, ახლაც ფხიზლად, ყურადღებით მოავლო თვალი მიდამოს. უცებ შეამჩნია, რომ ერთ-ერთი სახლის კარიდან კვამლი ბოლქვებად გამოდიოდა. აღარ დააყოვნა — უმალ იქ გაჩნდა.

კარი ოთახისა, საიდანაც კვამლი გამოდიოდა, ჩაკეტილი აღმოჩნდა..

— ხანძარი! — წამოიძახა და მძლავრი ბიძგით კარი შეამტვრია. კვამლის სქელ ფარდაში მოჩანდნენ ცეცხლის ენები, რომლებიც სათავეს იღებდნენ აფეთქებული ნავთქურიდან. საწოლს, რომელშიც ბავშვს ეძინა, ცეცხლი ეპარებოდა.

სწრაფად დასტაცა ხელი ბავშვს და სამშვიდობოს გამოიყვანა. ხმაურზე მეზობლებიც გაჩნდნენ. თოვლითა და ფარდაგებით ხანძარი ჩაქრობილ იქნა.

კეთილი ადამიანის ფხიზელმა თვალმა იხსნა ბავშვის სიცოცხლე და ხანძარს გადაარჩინა სახლი და ავეჯი.

მალე მოირბინეს ბავშვის მშობლებმა — სოფლის მასწავლებლებმა პაპიაშვილებმა. ცრემლმორეული დედა შეშინებულ შვილს გულში იკრავდა, თან მადლობას უხდიდა ხანძრისაგან შერუჯულ მისი შვილის მხსნელს, ახალქალაქის რაიონის სულდის მილიციის უბნის რწმუნებულს ალექსანდრე იაკობის-ძე გეგიძეს.

**Ნ. ᲐᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

## სპორტი

### XXVII ჩემპიონატი

### ახალი ლიდერი

**ლენინგრადი.** 20 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის XXVII საჭადრაკო პირველობის მეთხუთმეტე ტური. ფინიშის სიმძაფრე იგრძნობოდა თითქმის ყველა პარტიაში. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ვ. ბაგიროვ-ვ. კორჩნოისა და ე. გელერ-ე. გუფელდის პარტიებზე. ი. ავერბახ-ტ. პეტროსიანის პარტია არ შემდგარა ტ. პეტროსიანის ავადმყოფობის გამო.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა გროსმაისტერ ვ. კორჩნოის შეხვედრა ბაგიროვთან. თანაბარ პოზიციაში კორჩნოიმ, როცა ვ. ბაგიროვმა მას ეტლი მოუკლა, სამაგიეროდ ეტლის აღების ... სხვა რკუს მოკიდა ხელი, ვიდრე საჭირო იყო, დარჩა უფიგუროდ და 27-ე სვლაზე დანებდა.

ბ. სპასკი-დ. ბრონშტეინის პარტია გათამაშდა მეფის გამბიტი, რომელსაც ხშირად იყენებს დ. ბრონშტეინი. ... შის მიღების მიზნით, მან მოწინააღმდეგეს ხარისხი შეწირა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ინიციატივა ხელში იგდო ბ. სპასკიმ, მოიგო ლაზიერი და 23-ე სვლაზე პარტიაც.

მ. ტაიმანოვს ვ. სმისლოვის წინააღმდეგ დებიუტიდანვე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ ვერ შეამჩნია მოწინააღმდეგის მეფის დაშამათების საძლებლობა და რადგან დროის სიმცირეს განიცდიდა ყაიმით დაკმაყოფილდა.

ისედაც უარეს მდგომარეობაში გურგენიძემ დროს გადააცილა და დამარცხება განიცადა ლ. პოლუგაევსკისთან. ა. ლუტიკოვმა მოუგო სიმაგინს, სახაროვმა — ი. ნეის.

განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა პარტია გროსმაისტერმა ე. გელერმა ე. გუფელდის წინააღმდეგ. მან სწრაფად შეძლო ფიგურების განვითარება, ძლიერი იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე და 24-ე სვლაზე გაიმარჯვა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ამრიგად, 16 ტურის შემდეგ ლიდერი გახდა ე. გელერი, რომელსაც 11,5 ქულა აქვს. ტ. პეტროსიანს 11 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ვ. კორჩნოის — 11 ქულა, ლ. პოლუგაევსკის — 1... ქულა, ვ. ბაგიროვსა და მ. ტაიმანოვს — ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა.

## დიდი მოგება

ქალაქ რუსთავის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ადგილობრივმა მცხოვრებმა შალვა ამბროსის-ძე გოგოლიძემ წარადგინა სახელმწიფო 3-პროცენტიანი სესხის 064762 სერიის ასმანეთიანი ობლიგაცია № 26, რომელსაც 73 ტირაჟში ხვდა დიდი მოგება — ოცდახუთი ათასი მანეთი.

## მიწისძვრა

**ტაშკენტი,** 19 თებერვალი. (საქდესი). უზბეკეთის სეისმურმა სადგურებმა დღეს აღნიშნეს მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი 50 კილომეტრზეა ხოროგის სამხრეთით, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის საზღვრის რაიონში. ეს საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა ეპიცენტრში უდრის ექვს-შვიდ ბალს. ტაშკენტში მიწისძვრის ძალა ოთხ ბალს შეადგენდა.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

## 21 თებერვალი

### თბილისის თეატრებსა და კინოებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი (დღისით), ჟიზელი (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, (დღისით), ყვარყვარე თუთაბერი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — ჩარლის დეიდა (დღისით), მეფე ერეკლე (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — წარმოდგენა-კონცერტი ჩეხოვის ნაწარმოებებიდან (დღისით), ქვის ბუდე (საღამოს, მე-3 აბონ. მე-6 წარმ.), მუსიკალური კომედიის — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — სახელგატეხილნი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ჯადოსნური ხოლაბანდი (აბონ. № 9 12 ს., აბონ. № 13, 3 ს.), თოჯინების ქართული — სიცოცხლის ყვავილი (11 ს, და 2 ს.).

• • •

ამირანი, რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — განკიცხულნი, იხანი, სპარტაკი, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი — მე შენ გეძებ, თბილისი — უკანასკნელი დაბრუნება, საქართველო (წითელი დარბაზი) — ანა ეიდეში, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ოფიცერთა სახლი — შემთხვევა ჰეროლშტაინში, საქართველო (მწვანე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), დიდუბე — ბაჯბაჯა მეგობარი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — თავდასხმა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — სად არის შენი ბედნიერება, მზია?, კოლმეურნე — ფურტუნა, კიროვის სახელობის პარკი — ქართული ფილმების კვირეული, კომუნარების ბაღი — გმირული სიმფონია, თანამგზავრი — მხურვალე გული.

* * *

### ტელევიზია

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად" (დილის ვარჯიშის კომპლექსი საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის), 12.20 — ყველაზე პატარებისათვის — ფილმი-ზღაპარი „ჩხიკვთა ქორწილი", 12.40 — „ვ. ი. ლენინის დღეებისათვის" — „მხატვრული ფილმი „სიმართლე", 14.10 — „უცხო ენის შემსწავლელთათვის" — ინგლისური ენის გაკვეთილი.

19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.50 — კვირის ამბები (რუსულ ენაზე), 20.00 — კინოჟურნალი, 20.10 — კონცერტი, 20.25 — კინონარკვევი, 21.05 „საბჭოთა კინოს ისტორიიდან" — მხატვრული ფილმი „ალექსანდრე ნეველი".

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 00349 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.